გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N4 (9184) 10 თებერვალი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

ჩემი არარჩევა პოლიტიკური ნიშნით მოხდა

2

2

300 ლარიანი დახმარება 600 ლარით შეიცვალა

„ჩემთვის მთავარი ამ ბავშვების გაღიმებული სახეებია" 7

„ვის თავში იხარშება სუპერკრეატიული იდეები?"

ტოლები ტოლს არავის უდებს

2

მიწაში მთვლემარე ისტორია 6

ხოშაბა მაზრაშვილის საკონდიტროს ტკბილეული დღესაც ახსოვთ 8

5

რატომ არ ახსენა გიორგი მარგველაშვილმა ზვიად გამსახურდია

ჩემი არარჩევა პოლიტიკური ნიშნით მოხდა

ნინო ნანიტაშვილი

მამუკა ახობაძე 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ 2016 წლის 16 თებერვლამდე დარჩება. 4 თებერვლის სხდომაზე იგი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კომისიის წევრად არ აირჩია. მასთან ერთად უარი ეთქვა კომისიის კიდევ 2 წევრს, ალექსანდრე ხუჭუას და გელა ლალაძეს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის დეკემბერში 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 4 ვაკანტურ ადგილზე კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11-მა კონკურსანტმა. მათ შორის 4 ძველი თანამშრომელი იყო. მამუკა ახობაძესთან, ალექსანდრე ხუჭუასთან, გელა ლალაძესთან ერთად კონკურსში კიდევ ერთი ძველი კადრი, კობა სიხარულიძე მონაწილეობდა, რომელიც 4 თებერვლის სხდომაზე ცესკომ კომისიის წევრად აირჩია.

მამუკა ახობაძე:

"ყველას წარმატებას ვუსურვებ. იმედი მაქვს, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია ოლქებს შორის კვლავ მოწინავეთა რიგებში იქნება, თავს გაართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რასაც აქამდე წარმატებით ახორციელებდა. ერთად განვლილი მუშაობისთვის რომელიც ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. მადლობა მინდა, გადავუხადო მთელ ჩემს კოლექტივს 2006 წლიდან ბოლოს და ბოლოს შევძელით ის, რომ სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია აბსოლუტურად დამოუკიდებელია პარტიული დავალებებისა თუ მითითებებისგან, რაც კანონშიც გვიწერია. რაც შეეხება ჩემს არჩევა-არარჩევას, ვთვლი, რომ ეს პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებდი მეც და უარნათქვამი ჩემი ორი თანამშრომელი, მაგრამ, როგორც ჩანს, ცესკოს პარტიული წევრებისთვის არ აღმოვჩნდით "მოწოდების სიმაღლეზე".

მამუკა ახობაძე 2013 წლის 13 ივლისიდან 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა. "ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებულ არჩევნებში ერთი საჩივარიც კი არ დაწერილა, რაც ადასტურებს ჩემი და ჩემი კოლეგების პროფესიონალიზმს". _ ამბობს "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მამუკა ახობაძე. იგი 2006 წლიდან ცესკოს მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანოს, ანუ ოლქის წევრი იყო. 2006 წლამდე კი საქართველოში არ არსებობდა მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც დღეს საოლქო საარჩევნო კომისიები წარმოადგენენ.

მამუკა ახობაძის 10 წლიანი მოღვაწეობა 16 თებერვალს დასრულდება. იგი არ აპირებს არჩეულ წევრებთან დაპირისპირებას, თუმცა ცესკოსთან სიტყვიერი შენიშვნები აუცილებლად ექნება.

ცესკოს ვებ-გვერდზე 5 თებერვალს გამოქვეყნდა შედეგები. 190 ძველი თანამშრომლიდან საოლქო საარჩევნო კომისიებს მხოლოდ 8 შეუნარჩუნდა. აქედან სამტრედიელი ერთია. ამდენად, 54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ცესკომ აირჩია: კობა სიხარულიძე, ნანა იმნაძე, ნინო ვაშაკიძე, მარიკა ბოკელავაძე. რაც შეეხება მე-5 წევრს, სოფიო დარჯანიას, იგი ოლქში გვიან შემოსულია, აწ გარდაცვლილი ოლქის თავმჯდომარის ავთანდილ ლომიას ადგილმონაცვლედ.

300 ლარიანი დახმარება 600 ლარით შეიცვალა

ნინო ნანიტაშვილი

2016 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში სიახლეა. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტითა და აუტიზმით დაავადებული 18 წლამდე ასაკის მოზარდები ჩაერთვნენ ახალ სოციალურ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

ლეიკემიით დაავადებული სამტრედიის მუნიციპალიტეტში 4 მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს. ისინი განსაკუთრებული პაკეტით სარგებლობენ და თვეში 200 ლარს იღებენ.

ლევან ახობაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: "დიდი ხანია იყო ჩვენი ხელისუფლების სურვილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაგვეწია. მათ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ჩვენთან შარშან მუშაობდა ამ ტიპის სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა წელიწადში ერთხელ ფინანსურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით. წელს გავითვალისწინეთ, რა ასეთი სტატუსის მქონე პირების მძიმე სოციალური ყოფა, მათი საერთო რაოდენობა 33-ია, პროგრამას არა წლიური, არამედ ყოველთვიური სახე მივეცით. ამდენად, გაიზარდა მატერიალური დახმარება _ 300 ლარის ნაცვლად 600 ლარია წელიწადში. თუკი ადგილობრივი ბიუჯეტი მომავალშიც მოგვცემს საშუალებას, ვეცდებით, გავზარდოთ დაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის".

სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 90-მდე მოზარდი ცხოვრობს. გავიმეორებ, რომ მათგან 33 უმძიმესია. სოციალური სამსახურის ინტერესში დევს, რომ არა მარტო მათ, არამედ 90-ვე მოზარდს მომავალშიც გაეწიოს მსგავსი სახით ყოველთვიური დახმარება.

დავინტერესდით სტატისტიკით და შევიტყვეთ, რომ 2014 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი იყო 592 900 ლარი. აქედან ჯანდაცვა და საზოგადოებრივი დაცვა _ 91 100 ლარი, ააიპი "თანადგომა" _ 174 000 ლარი, "სათნოების სახლი" _ 100 000 ლარი, სოციალური პროგრამები _ 227 800 ლარი.

2015 წელი ასე გამოიყურებოდა: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა _ 948 500 ლარი, აქედან ჯანდაცვა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა _ 92 000 ლარი, ააიპი "სახლი თანადგომა" _ 174 000, "სათნოების სახლი" _ 102 500 ლარი, სოციალური პროგრამები _ 580 000 ლარი. 2016 წელი _ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა _ 1 092 000 ლარი, ჯანდაცვა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა _ 109 500 ლარი, ააიპი "სახლი თანადგომა" _ 174 000 ლარი, "სათნოების სახლი" _ 108 500 და სოციალური პროგრამები _ 700 000 ლარი.

2014 წელთან შედარებით 2016 წელში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება 2-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, ეს უკანასკნელი 3-ჯერ არის გაზრდილი.

ტოლებში ტოლის ხიდის ოდებს

ლევან გაბეჩავა

5 თებერვალი, ისევ სოფელ ტოლებში ვართ, გრანდიოზულ მშენებლობაზე.

ვინ იცის, წლების მანძილზე რამდენჯერ, რამდენი დაწერილა მდინარე ხევის წყალზე, ტოლები-ბულნარას დამაკავშირებელი ხიდის ირგვლივ შექმნილ პრობლემებზე.

ამ დღეს კი მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მოადგილეებთან, როსტომ თავაძესთან, კობა ძიძიგურთან, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანთან ერთად სოფელ ტოლებში მაშინ მივიდნენ, როცა მდინარეზე 33 მეტრიანი ერთიანი "დაძაბული კოჭი" იდებოდა.





სამუშაოებს შპს "სახარია", ხელმძღვანელი დავით პაიჭაძე, აწარმოებს. _ მშენებლობა რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თანხით, ნაწილიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ზურაბ გოგიამ.

მოსახლეობის სახელით მუნიციპალიტეტის თავკაცებისა და მშენებელთა მისამართით სამადლობელი არ დაუშურებია გამგებლის წარმომადგენელს, სოფელ ტოლებში ალექსანდრე ბოცვაძეს, დღეღამ მუშაობენ, რასაც ხედავთ ორ თვეში გაკეთდაო, _ გვითხრა მან.

_ მოგეხსენებათ, წლების მანძილზე მოსახლეობას გარკვეულ პრობლემას უქმნიდა ამორტიზებული ხიდი, გრანდიოზული რამ კეთდება, ამიერიდან წყალმოვარდნები, სხვა პრობლემები მოსახლეობას არ შეაწუხებს, მადლობას იმსახურებენ მშენებლები. _ განუცხადეს "სამტრედიის მაცნეს" ბატონებმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ნუგზარ ჯამბურიამ.

ამასობაში მძლავრმა ამწემ ვეება მონოლითი მდინარეზე გადო და ჯერაც დაუმთავრებელმა ხიდმა გიჟმაჟ ხევისწყალზე პირველი მგზავრები გაატარა.

ტოლებიდან გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თანმხლებ პირებთან ერთად გეზი დიდი ჯიხაიშისაკენ აიღეს, სადაც საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

მუნიციპალიტეტის თავკაცებმა მშენებლობა დაათვალიერეს და განცხადებაც გააკეთეს:

_ საზოგადოებრივი ცენტრი არა მარტო დიდი ჯიხაიშის, ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთაც მოემსახურება. იგი მრავალფეროვან სერვისს შესთავაზებს მოსახლეობას, დასაქმდებიან ადამიანები, ერთი სიტყვით, კარგი რამ კეთდება. _ განაცხადეს ბატონებმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ნუგზარ ჯამბურიამ.

"ვის თავში იბადება სუპერკონსტიტუციური იდეები?"

ნინო ნანეტაშვილი

2 თებერვალს ოპოზიციამ საკრებულოს სხდომა ოფიციალურად დატოვა. ხმაურიანი გამოდგა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხი. მომხსენებელმა მანანა სირბილაძემ სხდომის მონაწილეებს, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოტანილი საკითხი გააცნო, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში თაფლის წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრის დაფუძნებას ეხებოდა. ოპოზიციის და არა მარტო ოპოზიციის გაკვირვება თავშივე გამოიწვია ახალი ააიპის შექმნის იდეამ, როდესაც მუნიციპალიტეტს ააიპების გამსხვილება აქვს გამიზნული და კიდევ უნდა შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელსაც თავისი დასახელებიდან გამომდინარე, კომერციული საქმიანობა ეკრძალებოდა.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა თავშივე გააპროტესტეს საკითხი და დასძინეს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე თითქმის სისტემატურად მოუმზადებელი საკითხები გამოდის, რაც შეეხება 2 თებერვლის სხდომას და კონკრეტულ საკითხს, ოპოზიციის აზრით ე. წ. მეფუტკრეობის ააიპი იქმნება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული პიროვნებებისთვის.

ემზარ შუბლაძე, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე: "მოახლოვებულია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. ახალ ააიპის აფუძნებენ იმისთვის, რომ თავიანთი მხარდამჭერები, რომლებიც "ქართულ ოცნებაზე" განაწყენებული ჰყავთ, დაასაქმონ და მათი მხარდაჭერა მოიპოვონ."

საინიციატივო ჯგუფის სახელით 2 თებერვლის საკრებულოს სამტრედიის მკვიდრი, ბეჟან ხაჟალია ესწრებოდა. მისი სხდომაზე ყოფნა ზოგიერთისთვის გამაღიზიანებელიც კი გამოდგა.

ემზარ შუბლაძის რეპლიკამ: "ბეჟანა გაუკეთებს რეალიზაციას თაფლს, როდესაც სახელმწიფოებრივ დონეზეა დაყენებული საკითხი და ვერ გადაწყდა?!" განაწყენება გამოიწვია როგორც ადრესატში, ასევე საკრებულოს უმრავლესობაში. ამას "ნაციონალების" ფრაქციის თავმჯდომარის მორიგი რეპლიკა მოჰყვა: "ბეჟანას იმიტომ ვუწოდებ, რომ მაგ არის ქვეყნის მოღალატე, გეორგიევსკის ტრაქტატის ლენტდამაგრებული მოძრაობდა 9 მაისს ქალაქის ქუჩებში, რომელიც პირადად მე ჩამოვუხსენი".

ოპოზიცია ამბობს, რომ ძალიან ხშირად საკრებულოს სხდომებზე საკითხები უმრავლესობას მოუმზადებელი გამოაქვს. ამ თემას შეეხო მამუკა ბიბილეიშვილი: "ეს შენიშვნა ჩვენს მიერ ბევრჯერ იქნა საკრებულოს სხდომაზე დაყენებული. დღევანდელი სხდომა ამის კლასიკური მაგალითია. გამოტანილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარეს, მომხსენებელს აზრი არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ააიპის შექმნას. პასუხისთვის გადაგვამისამართეს ისეთ პიროვნებასთან, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია კონკრეტულ საკითხთან. უფრო მეტიც, სამსახური, რომელიც ჩვენი წინაადმდეგობის მიუხედავად შეიქმნება, არის არაკომერციული, იურიდიული პირი. ის ვერანაირად ვერ შეისყიდის იურიდიული პირისგან პროდუქციას და შესაბამისად, ვერ მოახდენს მის რეალიზაციას, ვინაიდან არ არის მოგებაზე ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცენტრის ფუნქცია თავშივე გაურკვეველია. როდესაც თაფლის პროდუქციის რეალიზაციაზე თვითონ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომელიმე მუნიციპალიტეტის ანალოგიური სამსახური ამ საკითხს საერთაშორისო დონეზე ვერ გადაჭრის. აღნიშნული დარგის ხელშესაწყობად შესაძლებელია, შეიქმნას მეფუტკრეთა გაერთიანებების კავშირი კავშირის ან ასოციაციის სახით, რომელშიც შეუძლიათ წარმოადგინონ დარგის განვითარებისა და საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით პროგრამა, რომელიც მისაღები შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მხრიდან და ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ამასთან, მოიპოვონ გრანტი, რაც ააიპს ხელეწიფებად. ამდენად, ხალხის შეცდომაში შეყვანას ნუ ცდილობენ, თითქოს დარგის განვითარების მიზნით ხდება რაიმე სამსახურის შექმნა. რაც შეეხება მეფუტკრეებზე კონსულტაციის გაწევას, ამ მიზნით არის შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრი, რომლის ვალდებულებაში შედის, სოფლის მეურნეობის ნებისმიერ დარგში დასაქმებულ პირს თუ გაერთიანებას გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები, როგორც ინდივიდუალური, ასევე, ფართომასშტაბიანი ლექციების სახით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ბევრი დარგია დარჩენილი. რა ვუთხრათ, ხვალ და ზეგ გამგეობას და საკრებულოს მევენახეობის, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგის წარმომადგენლებმა ააიპის დაფუძნება რომ შემოგვთავაზონ? არის თუ არა ბიუჯეტი მზად, ცალ-ცალკე ჩამოყალიბდეს სამსახურები?"

ოპოზიციის დასაბუთებული წინააღმდეგობის მიუხედავად, თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე გაიტანა. 8 წინააღმდეგი და 13 მომხრე დაფიქსირდა.

ამდენად, 2 თებერვლის საკრებულომ მხარი დაუჭირა, ააიპ "სამტრედიის მუნიციპალიტეტში თაფლის წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრის" წესდების დამტკიცებას.

ე. წ. "მეფუტკრეების" ააიპის შექმნის წინააღმდეგი იყო დავით ამაღლობელი, ფრაქცია, "ქართული ოცნება _ მრეწველების" თავმჯდომარე:

"ჯერ კიდევ ბიუროს სხდომაზე დავფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა ააიპი "სამტრედიის მუნიციპალიტეტში თაფლის წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრის" დაფუძნება, რამეთუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის საკმაოდ ბევრი პროგრამა აქვს განხორციელებულიც და განსახორციელებელიც. მათ შორის არის მეფუტკრეობა. პირადად მე შეღავათიანი აგროკრედიტით ვსარგებლობ მეცხოველეობის განვითარების დარგში. ბიუროს სხდომაზე ვთქვი, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებით გაუქმდა გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილება, რამეთუ არსებობს სოფლის მერუნეობის საინფორმაციო ცენტრი. მიმაჩნია, რომ ეს ახალი ააიპ-ი, რომლის საჭიროება არ არსებობს, კიდევ ერთ დიდ ტვირთად დააწვება რაიონის ბიუჯეტს. საინტერესო იყო, რა სტატუსით ესწრებოდა საკრებულოს სხდომას ბეჟან ხაჟალია, რომელიც ახსნა-განმარტებებს უწევდა საკრებულოს წევრებს. ჩემს ამ კითხვაზე საკრებულოზე პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა."

ახალი ააიპის შექმნის წინააღმდეგია "რესპუბლიკელების" ლიდერი. მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საკრებულოსთვის შეთავაზებული იდეა, იმედა გოგავას განმარტებით, არაკვალიფიცირია, წამგებიანია, ზოგადად საკითხი მოუმზადებელია, რაც ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ზედმეტი ტვირთი იქნება: "მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თაფლის ააიპის შექმნის იდეა და მცდელობა თეორიულად შეიძლება იყოს რაღაც სიკეთის მომტანი, მაგრამ ვთვლი, რომ პრაქტიკულად ამას არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აღნიშნულ ააიპში შეიძლება რამდენიმე ადამიანი დაასაქმონ, რომლებიც გადაწყვეტენ კიდეც საკუთარი უმუშევრობის პრობლემას... ზოგადად, მუნიციპალიტეტს შეეძლო, რაიმე საკონსულტაციო სამუშაოები გაეწია მეფუტკრეებისათვის, დახმარებოდა მათ, რომ ამ სფეროში განათლება გაეღრმავებინათ, მოეწვია სპეციალისტები და დაინტერესებული პირებისთვის ჩაეტარებინა საგანმანათლებლო ხასიათის სემინარი, მაგრამ, არა! მათ გადაწყვიტეს კიდევ ერთი ორგანიზაციის შექმნა, საინტერესოა რატომ? ვის თავში იხარშება მსგავსი ხასიათის სუპერკრეატიული იდეები? ვის დასასაქმებლად არის მოფიქრებული ეს აბრაკადაბრაკა? ცხრა სამსახურის შექმნას აუწია ხელი საკრებულოს წევრების ნაწილმა, როცა ჩვენთვის, ხეირიანად დებულებაც კი არ გაუცვნიათ? ვინ და რატომ ჩქარობს ასე ნაუცბათევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებებისკენ უბიძგოს საკრებულოს? მაშინ, როცა წლებია, ვებრძვით და ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ უკვე არსებული ააიპების რაოდენობა ხელოვნურად არის გაზრდილი, ხოლო მათი შტატები გაბერილი და საჭიროებს ოპტიმიზაციას, რატომ ხდება კიდევ ერთი ააიპის ასე გადარბენით დაფუძნება, მაშინ, როცა გამგეობას ცალი ხელით საკრებულოში შემოაქავს ინიციატივები, რომ მოხდეს ააიპიების გაერთიანება-გამსხვილება და შტატების შემცირება? რატომ ხდება, რომ მეორე ხელით ითხოვს ახალი ააიპის დაფუძნებას? აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის ასე ჰარი-ჰარალეზე საკრებულოზე გამოტანა, უპირველესად, გამგეობის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტზე მიუთითებს და მხოლოდ ამის შემდეგ საკრებულოს უპატივცემულობაზე... შეგახსენებთ, რომ გახლავართ კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტიის თავმჯდომარე და ჩემთვის ეს ინფორმაცია მხოლოდ ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ვერ თუ არ მოხერხდა ადგილზე კოალიციური პოლიტსაბჭოს შეკრება და რეგულარული სამუშაო შეხვედრები, ზუსტად მსგავს ფორმატში უნდა განიხილებოდეს ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის და სამტრედიელების წინაშე დგას.

ახლა ვიღაცეები მარწმუნებენ, რომ შექმნიან მეფუტკრეობის ააიპს და ამ სფეროში დასაქმებულებისთვის ცხოვრება თაფლივით ტკბილი გახდება, პროდუქციას ევროპაში გაიტანენ და ბიუჯეტს ევროებით შეავსებენ. ხმამაღლა ვამბობ, მსგავსი არაკომპეტენტურობა და სიშლეგე, კარგა ხანია, არ მსმენია, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა არაა დასაქმების ბიურო, არც კომერციული ორგანიზაცია და არც უნდა ცდილობდეს მსგავსი ბიზნეს თუ საფინანსო ჯგუფების საკუთარი შეხედულებებისამებრ ლობირებას. რაც აბრიორი თავიდანვე არასათანდო კონკურენციის პირობებში აყენებს ამ საქმით დაინტერესებულ კერძო მეწარმეებს. აღარაფერს ვამბობ იმ აქსიომაზე, რომ ქვეყანაში არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფერმერული გაერთიანებები და უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მსგავსი ტიპის და ხასიათის საკითხებზე და ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა... ხვალ რომ გამგეობაში მოვიდე ინიციატივით, რომ წუხელ საინტერესო სიზმარი ვნახე, შესაბამისად, დამებადა იდეა და თქვენ წარმოიდგინეთ, დებულებაც კი გამოვაცხვე, თუ როგორ უნდა განვავითარო ქართული დაფნის წარმოება და ის გავიტანო სადღაც შორს მოზამბიკაში, საინტერესოა, დამაფინანსებს თუ არა გამგეობა, შემიქმნის ააიპს, მომეხმარება კავშირების დამყარებაში და გამაყიდვინებს თუ არა უცხოეთში? თუ არა, მაინტერესებს _ რატომ? და თუ ჩემსავით კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი, საკუთარი ბიზნესიდეებით დატვირთული მოადგება გამგეობას, შეძლებენ კი ყველას დაკმაყოფილებას?! ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსგავსი ინიციატივები თუ პრეცედენტები არა მარტო არაფრისმომტანი, წამგებიანი და ილუზიურია, არამედ არღვევს კონკურენციის თანასწორობას, გამგებელს აძლევს ექსკლუზიურ შესაძლებლობას, მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს ბიუჯეტის ფული, თვითონ დაადგინოს და თვითონვე განსაზღვროს, რომელ სფეროს გაუწიოს დახმარება და ვინ დაფინანსოს და ვინ არა და ეს ყველაფერი სუბიექტივიზმის არასასიამოვნო სურნელს რომ ტოვებს, ამაზე ვინმეს საერთოდ უფიქრია?!"

ოპოზიციის გაცხარება უსაფუძვლოდ მიაჩნია საკითხის ირგვლივ მომხსენებელს, მანანა სირბილაძეს. იურიდიულ და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე "ნაციონალების" მიერ საკრებულოს სხდომის დატოვებას პოლიტიკურ თამაშს უწოდებს და ამბობს, რომ იმ დღეს საკრებულოს ააიპის შექმნისთვის მხარი არ დაუჭერია. დაამტკიცეს წესდება, ხოლო თუ როგორ განვითარდება საბოლოოდ მოვლენები, ამაზე მომდევნო საკრებულომ უნდა იმსჯელოს: "ჩვენთან, საკრებულოში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა საკითხი, რომლითაც გამგებელი ითხოვდა თანხმობას, ააიპი "სამტრედიის მუნიციპალიტეტში თაფლის წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების ცენტრის" დაფუძნებისათვის. მას თან მოჰყვა წესდება _ სახელმძღვანელო, რითაც უნდა ისარგებლოს აღნიშნულმა ცენტრმა. 2 თებერვლის საკრებულოზე მსჯელობა წესდების ირგვლივ უნდა ყოფილიყო და არა ეკონომიკურ გათვლებზე. ეს უკანასკნელი მომდევნო პროცედურაა. სწორედ ამიტომ გავაჟღერე ოპოზიციის გასაგონად რეპლიკა, რომ ეკონომიკურ გათვლებს 2 თებერვლის სხდომაზე არასწორად ითხოვდნენ. მსჯელობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ წესდების ირგვლივ. თუ რომელიმე მუხლში ენდომებოდათ ცვლილება, მსჯელობის შემდეგ ან ცვლილებას შევიტანდით, ან დავტოვებდით უცვლელად. რაც შეეხება ბეჟან ხაჟალიას საკრებულოს სხდომაზე დასწრებას, გამოწვეული იყო იმით, რომ იგი საინიციატივო ჯგუფის ერთი რიგითი წევრია. ვერ მოხერხდა ყველა მათგანის შეკრება, რაც ამ ეტაპზე არც იყო აუცილებელი. ფრაქცია "ნაციონალების" წევრების გაცხარებას ვერ ვხსნი, როგორც ცოტა მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, ემზარ შუბლაძეს ბეჟან ხაჟალიას მიმართ თავისი სუბიექტური უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს ემზარ შუბლაძის მხრიდან პიროვნული შეურაცხყოფით დადასტურდა კიდეც. 2 თებერვლის საკრებულოზე გაცხარება იყო ოპოზიციის მხრიდან დადგმული მორიგი სცენა. საკრებულომ საკმაოდ მშვიდად 13 ხმით 8-ის წინააღმდეგ დაამტკიცა წესდება ააიპი "სამტრედიის მუნიციპალიტეტში თაფლის წარმოების და განვითარების ცენტრის" შექმნის შესახებ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ დაფუძნდა ეს ააიპი. შესაძლებელია, მომდევნო საკრებულომ იგივე გამგეობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ორგანიზაცია არარენტაბელურად ჩათვალოს და არ დაამტკიცოს. მიკვირს, წინასწარ რატომ ტეხენ განგაშს".

ვისაც ყველაზე მეტად ვჭირდებით

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიაში 2015 წლის 21 ნოემბერს საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოება "სამტრედიის ფილიალი" დაფუძნდა, რომლის ინიციატორი, დამფუძნებელი და პრეზიდენტი სერგო რუხაძეა. იგი წარმოშობით სამტრედიელია, უამრავი საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორი, დასაქმებულია კერძო სექტორში და წლებია, სხვადასხვა სახის ბიზნესს ხელმძღვანელობს.

სერგო რუხაძემ თავისი კავშირები გამოიყენა, კერძოდ, მას აქვს კარგი ურთიერთობა იაპონიის ელჩთან და სხვა სახელისუფლებო შტოებთან, რითაც მოხდა მსოფლიო ბრენდის შემოსვლა სამტრედიის მუნიციპალიტეტში.

"წითელი ჯვრის" "სამტრედიის ფილიალის" აღმასრულებელი მდივანი, ადგილობრივი ორგანიზაციის კოორდინატორი 2016 წლის 26 იანვრიდან გახლავთ ნათია პაპავა, ექიმი-რადიოლოგი.

პროგრამა იწყებს მოქმედებას "ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი სამტრედიაში".

რაიონულ ორგანიზაციას დასაქმებული ჰყავს ბინაზე მოვლის სერვისების განვითარების სპეციალისტი ნათია გოგუაძე, მოხალისეთა ინიციატივების განვითარების სპეციალისტი ნარგიზა ზურაბიანი, კომუნიკაციების განვითარების სპეციალისტი სოფიკო ღოღობერიძე.

28 დეკემბერს ადგილობრივმა ორგანიზაციამ სამტრედიაში ჩაატარა ტრენინგი "პირველადი სამედიცინო დახმარება". ტრენინგს უძღვებოდნენ ქუთაისის "წითელი ჯვრის" აღმასრულებელი მდივანი ნინო ავალიანი და ტრენერი ლია გიორგაძე.

ნათია პაპავა, სამტრედიის წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის კოორდინატორი: "ჩვენი ორგანიზაცია გახლავთ ჰუმანიტარული ორგანიზაცია, ყოველთვის ვართ იმ ადამიანების გვერდით, ვისაც ყველაზე მეტად ვჭირდებით. პრიორიტეტია ჯანდაცვა, ვგეგმავთ რაიონის მასშტაბით სხვადასხვა სახის აქციებს, რაც ასახვას ჰპოვებს ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში. მადლობა გვინდა, გადავუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას. მათ 30 000 ლარის ოდენობით დააფინანსეს ადგილობრივი ორგანიზაცია ჩვენს გვერდით არიან ყველა აქციის დროს".

9 თებერვალს უფასო სასადილოს მოსარგებლეთათვის "წითელი ჯვრის სამტრედიის ორგანიზაციამ" ერთი კანფეტის აქცია მოაწყო. ამ უკანასკნელს წინ უძღოდა პირველი და მესამე საჯარო სკოლებში ხუთთა კომიტეტების შექმნა. უფროსი კლასის მოსწავლე-მოხალისეებმა სკოლის თანატოლებში კანფეტის შეგროვება მოახერხეს, რომელიც 9 თებერვალს "სახლი თანადგომას" ბენეფიციარებს სადილის შემდეგ გაუნაწილეს, ღონისძიების ორგანიზატორი ნათია პაპავა გახლდათ, რომელმაც პირველი და მესამე სკოლების დირექტორებს ხათუნა ფაილაძეს და ვენერა ოდილავაძეს მადლობა გადაუხადა აქციაში აქტიური მონაწილეობისთვის.

მე-3 სკოლელები საბა კაცაძე, კობა ამაღლობელი, გიორგი მანჯგალაძე და სალომე ქარჩაიძე წითელი ჯვრის მაისურებში გამოწყობილები სოციალურად დაუცველ თანაქალაქელებს სიამოვნებით ურიგებდნენ კანფეტებს, რომლის შეგროვება მათ თანასკოლელებთან ერთად მოახერხეს.

საბა კაცაძე, მე-3 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: "ჩვენს სკოლაში ორი ხუთთა კავშირია შექმნილი. ათივე ახალგაზრდამ მთელი პასუხისმგებლობით შევაგროვეთ კანფეტები და სიხარულით ჩავერთეთ ამ აქციაში."

უფასო გამოკვლევა გრძელდება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის შენობაში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში გამოკვლევები ორი დღის განმავლობაში 8-9 თებერვალს მიმდინარეობდა. ამ მეტად საჭირო პროგრამის ფარგლებში უკვე რამდენჯერმე მოეწყო ჩვენს მუნიციპალიტეტში მსგავსი აქცია. ამჯერად სამიზნე ჯგუფები პედაგოგები და დევნილები არიან. ეტაპობრივად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ჩაიტაროს გამოკვლევა და იმ შემთვევაში თუ მას დაუდასტურდება სისხლში C ჰეპატიტის არსებობა, დროულად მიიღოს მკურნალობა, რასაც სახელმწიფო სთავაზობს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ექიმ-ლაბორანტი, მაკა ჯინჯიხაძე:

" C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, კეთდება სწრაფი, მარტივი ქრომატოგრაფიული მეთოდით სისხლში C ჰეპატიტის და შიდსის ვირუსის დადგენა. 10-15 წუთში პასუხი მზადაა, ნებისმიერ ადამიანს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია უფასოდ ჩაიტაროს გამოკვლევა. გასულ კვირას გახლდით "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, იქ 63 პაციენტს ჩავუტარეთ გამოკვლევა, შიდსზე და C ჰეპატიტზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 3 დღის განმავლობაში ჩავატარებთ კვლევებს".

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის ხელმძღვანელი, ექიმი მარინა თევზაძე: "როგორც ვიცით, ქვეყანაში მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაცია, დავგეგმეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში ტესტირებული კვლევები C ჰეპატიტზე, კვლევებს ატარებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ზონალური ლაბორატორია. ძირითადად გვინდა ამ ეტაპზე პედაგოგები და დევნილები გამოვიკვლიოთ, თუმცა, სურვილის მქონე ნებისმიერ ადამიანს მივიღებთ. მსგავსი ტიპის აქცია უკვე ჩავატარეთ, გამოვიკვლიეთ 220 პიროვნება, აქედან 20 შემთხვევა იყო დადებითი, მოსახლეობას მიეწოდა ბუკლეტები, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, მომზადებულნი შეხვდნენ თავიანთ დაავადებას და იზრუნონ ჯანმრთელობის დაცვაზე".

ნათია ნაცვლიშვილი

რიცა ფარი "სახლი თანადგომას" ბალანსზე არ იარიცხება

ნინო ნანიტაშვილი

შარშანდელთან შედარებით უფასო სასადილომ ფუნქციონირება ერთი კვირით ადრე დაიწყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ტენდერში მონაწილე ინდმეწარმეებს დოკუმენტაციის კუთხით პრობლემები არ შექმნიათ.

2015 წლის გამოცდილებამ მომმარაგებლებს შესაბამისი საბუთები წესრიგში დროულად მოაყვანინა. ამდენად, სამტრედიელი ბენეფიციარების გამოკვება ორ ინდმეწარმეს დაეკისრა. ესენი არიან: სამტრედიელი ზურაბ სტურუა და ქუთაისელი კახაბერ გიქოშვილი.

სახლი "თანადგომა" 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 135 ბენეფიციარს, რეზერვების ჩათვლით, ემსახურება. უფასო სადილის პარალელურად "სახლი თანადგომა" 330 ბენეფიციარს კვირაში ერთხელ პურით უზრუნველყოფს.

მიუხედავად ქვეყანაში გამეფებული ინფლაციისა, ერთი მოსადილის დღიურ კვებაზე ძველებურად 1 ლარი და 18 თეთრი იხარჯება. ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით "სახლი თანადგომას" ბენეფიციარები მრავალფეროვან სადილს მიირთმევენ: კატლეტი გარნირით, წიწიბურა, ქათმის ბარკლის ჩახოხბილი, ბორშჩი, ლობიო, სხვადასხვა სახის ფაფები, სუპები, ფლავი, დესერტად კისელი, ვაშლის კომპოტი.

მზევინარ ბოხუა, "სახლი თანადგომას" დირექტორი: "ჩვენ ისეთი კატეგორიის ხალხს ვემსახურებით, ძნელია მათ გააგებინო, რატომ რჩებიან უსადილოდ თუნდაც 2 კვირის განმავლობაში. მინდა, ისეთი მექანიზმი შემუშავდეს, რომ მომავალში ის ორი კვირაც რომ არ დაგვირჩნენ უმწეო ადამიანები სადილისა და პურის გარეშე. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ საკითხზე ბევრი ადამიანი შემიწუხებია და ცდას არც მომავალში დავაკლებ, ისედაც შეჭირვებულ ადამიანებს კვირაში რამდენიმედღიანი ჩავარდნა რომ არ ჰქონდეთ".

"სამტრედიის მაცნეს" მზევინარ ბოხუა მათ სფეროში ახლახან გაჩენილი პრობლემის შესახებ საქმის კურსში აყენებს. ამ დღეებში უფასო სასადილო დენის გამორთვის საშიშროების წინაშე დადგა. "2006 წლიდან უფასო სასადილო თავისი ინვენტარით გადასახადის გარეშე, სადგურ "სამტრედიის" ბალანსზე რიცხული ფართით სარგებლობს. შენობა განთავსებულია რუსთაველის ქუჩის № 28-ში. სადგურ "სამტრედიას" ხელმძღვანელობამ მოსთხოვა უფასო სასადილოს დახარჯული ელენერგიის ღირებულების გადახდა, რასაც ჩვენ ვერ ვახერხებთ იმის გამო, რომ შენობა "სახლი თანადგომას" ბალანსზე არ არსებობს. მოვიდნენ და დაგვემუქრნენ დენის გამორთვით. პროცესებში ჩაერთო ადგილობრივი ხელისუფლება. მინდა, იმედი დავიტოვო, მსგავსი წინააღმდეგობების წინაშე უფასო სასადილო აღარ აღმოჩნდება, კანონიერების ჩარჩოში მოექცევა ფართი, რომელიც "სახლი თანადგომას" უფასო სასადილოს სახით გააჩნია. ამის შემდეგ კი ჩვენ მოგვეცემა უფლება, შევიძინოთ და დავამონტაჟოთ ახალი ელმრიცხველი და ჩვენი დახარჯული ელენერგიის თანხა ყოველთვიურად გადავიხადოთ".

ესთეტიკური და კოსმეტიკური სალონები შესაძლოა, სავალდებულო რეგისტრაციას დაექვემდებაროს

ესთეტიკური და კოსმეტიკური სალონები შესაძლოა სავალდებულო რეგისტრაციას დაექვემდებაროს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტისთვის საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენას მთავრობა გეგმავს. საუბარია "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონში ცვლილებების განხორციელებაზე. შესაბამისი პროექტი იმ პროექტთა ნუსხაშია ასახული, რომლის წარდგენას მთავრობა პარლამენტისთვის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში აპირებს.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ყველა პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებასთან, ვალდებული იქნება გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, დაიცვას პრევენციისა და კონტროლის ტექნიკური რეგლამენტის ნორმები.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის ორგანოების პასუხისმგებლობა იქნება.

"ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, როგორიცაა ადამიანის კანის საფარველზე ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების მწარმოებელი დაწესებულებები (სილამაზის, მანიკურის/პედიკურის, ტატუს, პირსინგის და ასე შემდეგ სალონები) და მათ მიერ სერვისების მიწოდება, გადამდები დაავადებების პოტენციური გავრცელების მაღალი რისკის გამო, ინფექციების კონტროლის მთელი რიგი სპეციფიური წესების დაცვას მოითხოვს. ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების შესრულებისას, ჰიგიენური პრაქტიკისა და უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა შეიძლება გახდეს აივ-ინფექციის, B და C ჰეპატიტების და მთელი რიგი სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების მიზეზი". _ ნათქვამია მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილ დოკუმენტში.

პროექტის გარდამავალი დებულებებით, პირებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელებასთან, ორთვიანი ვადა ეძლევათ, რათა კანონის ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყონ საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან იქნება დაკავშირებული.

For.ge

რატომ არ ახსენა გიორგი მარგველაშვილმა ზვიად გამსახურდია

ნათია ნაცვლიშვილი

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენებამ ბევრი სამსჯელო თემა გააჩინა. პრეზიდენტის გამოსვლის ერთ მცირე ნაწილს შევეხებით, რომელსაც დეპუტატ გუბაზ სანაიას რეპლიკა მოჰყვა. დეპუტატმა პრეზიდენტ მარგველაშვილს არა შენიშვნა მისცა, არამედ შეახსენა, რომ როცა ეროვნულ დამოუკიდებლობაზე საუბრობდა, მას უნდა ეხსენებინა ზვიად გამსახურდია. ციტატა პრეზიდენტის მოხსენებიდან: "ევროპელობა ჩვენი ისტორიული გზის გაგრძელებაა. ამ გზას ადგნენ ჩვენი წინამორბედებიც; ამ გზაზე ამბობდა ნოე ჟორდანია "მომავლის არ გვეშინია", ამ მიზანს სახავდა ზურაბ ჟვანია _ "მე ვარ ქართველი და, მაშასადამე მე ვარ ევროპელი", ამ გზაზე, მე ვხედავ საქართველოს არა როგორც სტუმარს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, არამედ, როგორც სრულფასოვან წევრს ამ ერთობისა".



რატომ არ ახსენა მარგველაშვილმა ზვიად გამსახურდია? ამ რიტორიკულ შეკითხვას საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ექსპრეზიდენტის შვილი, **კონსტანტინე გამსახურდია** პასუხობს:

"მასზე შესაძლოა, იმოქმედა ქართველ ლიბერალთა ულტრა და ნეოლიბერალური ფრაქციის სამმა მითმა ზვიად გამსახურდიას შესახებ.

მითი პირველი: გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში საქართველოში არნახული ძალით მძვინვარებდა "ეთნიკური ნაციონალიზმი (რაც არის ფაშიზმის შედარებით ევფემისტური მეტსახელი), რუსთაველზე დიდი კოცონი ენთო, მას შემოსხდომოდნენ ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლები, პირდაპირ ბრაწავდნენ და ჭამდნენ არაქართველებს.

მითი მეორე: გამსახურდია არ ყოფილა განმანთავისუფლებელი, სსრკ ისედაც დაინგრეოდა.

მითი მესამე: გამსახურდიამ და მისმა ეთნონაციონალიზმმა დისტანციურად მოკლა სამჯერ თუ ოთხჯერ ნაინფარქტალი მერაბ მამარდაშვილი.

ეს მითოსური თეორია, რომელიც ჩემს თვალში რაღაცნაირი მენტალური განავალია, თუმცა, ულტრა და ნეოლიბერალური ფრაქციის მიერ თითქოს ბროლის ჭურჭელზეა სერვირებული. მას "ბელას ტორტის" დახვეწილი ჩუქურთმებიანი ფორმები აქვს, რადგანაც მისი დამტარებლები მაინც განათლებული ადამიანები არიან, რომლებიც ქართულის გარდა სულ ცოტა 2 ან 3 ენაზე მეტყველებენ".

ჩვენს მუნიციპალიტეტში სახელისუფლებო ეშელონებში დღეს-დღეობით მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ეროვნული მოძრაობიდან მოდიან და გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ ზვიად გამსახურდიასთან. აღნიშნულ საკითხზე კომენტარები ვთხოვეთ მათ. პოზიციაოპოზიციაში ყოფნის მიუხედავად, ყველა მათგანს ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით საერთო აზრი აერთიანებს: ზვიად გამსახურდია პრეზიდენტს უნდა ეხსენებინა!

ემზარ შუბლაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე: ვფიქრობ, ამას ყველა ქართველში უნდა გამოეწვია პროტესტი. ზვიადი იყო არა მარტო ლიდერი და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლო, არამედ პირველი პრეზიდენტიც იყო, როცა პრეზიდენტი საუბრობს საქართველოს წარსულსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებზე, პირველ რიგში იმ დიდ ღვაწლზე უნდა ეთქვა, რაც სწორედ ზვიად გამსახურდიას მიუძღვის ქვეყნის წინაშე. მან გამოაცხადა ეროვნული დამოუკიდებლობა და სხვადასხვა ქვეყნებმა აღიარეს ჩვენი სუვერენიტეტი. ამ კონტექსტში თუკი ვინმე უნდა ყოფილიყო ხსენებული, პირველ რიგში ზვიად გამსახურდია. ალბათ, ეს მიზანმიმართულად გაკეთდა, არა მგონია, ეს პრეზიდენტს გამორჩენოდა. ის მომდევნო გამოსვლაში კვლავ შეეხო ამ თემას და თქვა, რომ პატივს სცემს საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ ეს უკვე შეცდომის გამოსწორების მცდელობას ჰგავდა. საქართველოს პრეზიდენტს, ვინც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა ავიწყდებოდეს საქართველოს პირველი პრეზიდეტი ზვიად გამსახურდია. მას, კონსტანტინე გამსახურდიას შვილს, შეეძლო ძალიან კომფორტულად ეცხოვრა, მაგრამ ამ გზით სიარულს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა არჩია".

ავთანდილ სტურუა, საკრებულოს წევრი:

"ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს. ეს ორი ადამიანი იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დროს შეძლეს და აამაღლეს ქართველთა ეროვნული თვითშეგნება. ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო და ყველამ კარგად ვიცით, მოხდა სამხედრო გადატრიალება რუსეთის მიერ, რომელმაც დაამხო ეროვნული ხელისუფლება. ამან გამოიწვია სამოქალაქო ომი, რომლის შედეგებსაც დღესაც ვიმკით. 91-92- 93 წლებში ქვეყანა სრულიად განადგურდა, მისი ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალი მიწასთან გასწორდა, რასაც მოჰყვა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა ამის გამოსწორებას არ ეყოფა ათასწლეულები. ეს იყო საუკუნის დანაშაული ქართველი ერის მიმართ, რომლის მთავარი შემოქმედი არის რუსეთი.

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა პრეზიდენტის მიმართ, ვიტყვი, ზვიად გამსახურდია, ეს ისეთი მოვლენაა, მოგწონს თუ არ მოგწონს, გვერდი არ უნდა აუარო, მას ისტორია გვერდს ვერ აუვლის.

ავთანდილ თადუმაძე, საკრებულოს წევრი:

"თუ დღესდღეობით საქართველოს საერთოდ არის პოლიტიკურ რუკაზე და აქვს დამოუკიდებლობის სტატუსი, ამაში წვლილი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიუძღვით. პრეზიდენტმა კეთილი უნდა ინებოს, როცა ასახელებს სხვათა სახელებს, ქვეყნის დამოუკიდებლობის უპირველესი მომტანი უნდა დაასახელოს. მოვა დრო, ქართველი კაცი გაითავისებს გამსახურდიას ღვაწლს, მინახავს ეს პიროვნება, მახსოვს მისი სულიერი განწყობა, შემართება, პატრიოტიზმი. საოცარია, პრეზიდენტი როცა ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას და იქ გამოტოვებს ზვიად გამსახურდიას... თავდაპირველ გამოსვლაშივე უნდა გაესვა ხაზი გამსახურდიას წვლილზე, მაგრამ დადგება დრო და ყველას თავისი სახელი დაერქმევა, ისტორიას არსად ეჩქარება".

დავით ამაღლობელი, ფრაქცია "ქართული ოცნება _ მრეწველების" თავმჯდომარე: "ზვიად გამსახურდია არის ადამიანი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, შემდეგ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი ყველას გვახსოვს და 9 აპრილის აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვა დისიდენტების დამსახურება იყო. საწყენია, რომ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში როცა საქართველოს დამოუკიდებლობასა და ევროპულ ინტეგრაციაზე საუბრობდა, ახსენა ნოე ჟორდანია და ზურაბ ჟვანია. ზვიად გამსახურდიას სახელი კი გაკვრითაც არ ხსენებულა. ეს გულდასაწყვეტია, მაგრამ რა არის გასაკვირი, როცა პირველ პრეზიდენტს ესროლეს და მოკლეს, მისი სახელის მიჩუმათება რომ უნდათ, ეს აშკარაა".

თემურ ქორიძე, ლიტერატორი, კრიტიკოსი:

"დღევანდელი პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ისტორიას იწყებს პოლიტიკაში თავისი გამოჩენის დღიდან, ამიტომ მათთვის ისეთი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და სხვანი მაინცდამაინც თაყვანსაცემი ადამიანები არ არიან. ეს ახასიათებდა როგორც საკაშვილს, ისე ივანიშვილს და მის მიერ მოყვანილ ხელისუფლებას. ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება მომდინარეობს იქედან, რომ ეს ადამიანები თავის დროზე ან იმ პროცესების წინააღმდეგ იბრძოდნენ, (დამოუკიდებელი საქართველოს პირველ დღეებშივე დაიწყეს ბრძოლა მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ) ანდა, საერთოდ გარკვეული არასრულფასოვნების კომპლექსი აქვთ იმის გამო, რომ თავად არ მონაწილეობდნენ იმ პროცესებში. რა თქმა უნდა, წლეულს გახლავთ 25-ე წელიწადი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მაგრამ მათ არ ეჭაშნიკებათ 1991 წლის ხსენება, ეროვნული მოძრაობის მიმართ ისინი ძალიან ნეგატიურად არიან განწყობილი, განსაკუთრებულად უნდა ყოფილიყო ხსენება ზვიად გამსახურდიასი, მაგრამ მარგველაშვილის შეხედულებანი ქართველებზე თოფაძემ ახლა გაიხსენა, კარგი იქნებოდა, რომ გაეხსენებინა მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილმა ის პრეზიდენტად დაასახელა. ახლა ძალიან დაგვიანებულია თოფაძის მხრიდან მარგველაშვილის გამოსწორების მცდელობა. ის არის ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილი ადამიანი, რომელსაც არ უყვარს სამშობლო და ნეგატიურად აფასებს ქართულ ფენომენს".

ზაზა ადეიშვილი, საკრებულოს წევრი: "რა თქმა უნდა, ორიგინალური არ ვიქნები, თუ გუბაზ სანაიას არა კრიტიკას, არამედ შენიშვნას და მეგობრულ რჩევას შევუერთდები და ვიტყვი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა არის ისტორიული, ეპოქალური მოვლენა და მას შემოქმედები ჰყავდა, ციურ მანანასავით არ დასცემია იგი საქართველოს. მოწამებრივი სისხლი და 9 აპრილი დასჭირდა ამ ბრძოლაში ქვეყანას. ბრძოლაში უპირველესი ქართველი და ლიდერი გვყავდა ბატონი ზვიად გამსახურდია, სრულიად სამართლიანი იყო გუბაზის ნათქვამი და ვუერთდები მას. ეგების ერმა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ გმირები დააფასონ. ეს მომავლისთვის გასათვალისწინებელია. არ იქნებოდა ზედმეტი, თუ პრეზიდენტი მერაბ კოსტავას და 9 აპრილის გმირების სახელებსაც შეახსენებდა მოწვეულ სტუმრებს".

"გაეროს ასამბლეა საქართველოში"

ასე ჰქვია პროექტს, რომელშიც დარეგისტრირებულმა დელეგატებმა სამტრედიიდან, მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ზურაბ ახობაძემ და გურამ ხუნწარიამ მიიღეს მონაწილეობა.

სამტრედიელი ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილ პროექტს "მომავლის ხეივანი" მოწონება ხვდა, საუკეთესო ნაშრომთა შორის დასახელდა და დაფინანსების სახით 1400 ლარი გამოეყოთ. ამ თანხით კი, ზურა და გურამი ქალაქში, ოდილავაძის ქუჩის მიმდებარედ თვითნებური ნაგავსაყრელის გასუფთავებასა და იქ ხეივანის გაშენებას გეგმავენ.

პროექტის მხარდამჭერი იყო კავკასიის ბიზნესუნივერსიტეტი" (კახა შენგელია).

გამოვლინდა ფავორიტი დელეგატი, იგი ზურაბ ახობაძე გახდა.

თუ ზურა გადაწყვეტს, სწავლა კავკასიის უნივერსიტეტში გააგრძელოს, იგი 2000 ლარიან ვაუჩერს მიიღებს.

ამჯერად სულ ესაა, სამომავლოდ კი მაძიებელი ახალგაზრდები კიდევ მეტის გაკეთებას გეგმავენ.

წარმატებებს ვუსურვებთ მათ!

ლევან გაბეჩავა

მიწაში მოვლენილი ისტორია

ლევან გაბეჩავა

ამაოდ როდი გვესხმოდა თავს გადამთიელი, ურჯულო თუ რჯულიანი, ვინ ვაზს გვიჩეხავდა, ვინ კიდევ ეკლესია-მონასტრებს, სიწმინდეებს გვიბილწავდა...

ფენიქსივით ვმრავლდებოდით, ვძლიერდებოდით და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი კულტურა, ისტორია, სარწმუნოება.

უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ერი ვართ ქართველები და დიდი მეცნიერის თქმისა არ იყოს, მიწისქვეშ თვლემს ძირითადად ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორია, ჯერაც შეუსწავლელი, ჯერაც შეუცნობელი...

ისტორიული ადგილები მრავლადაა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით ამ მხრივ გაღმა, მთიანი ზონა ლიდერობს.

ტოლების, ტელეფისის უძველესი ციხის დანიშნულებაზე არაერთხელ დაწერილა "სამტრედიის მაცნეში".

ამ დღეებში ისევ სოფელ ტოლების ცენტრში ადგილობრივებმა "ძველი დიდების ნაშთი" იგუმანეს და მუნიციპალიტეტის ხელისუფალთ დაუკავშირდნენ დახმარებისათვის.

თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია არქეოლოგებს დაუკავშირდა და 3 თებერვალს, გამგებელი, მისი მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, დავით აღმაშენებლის საბიც მიეშველნენ და ჰოი, საოცრებავ!

_ სამარხი თამარისა და შოთას ეპოქას უნდა განეკუთვნებოდეს. მიცვალებული ქრისტიანული წესით, სახით აღმოსავლეთისკენაა დაკრძალული, წინასწარ დაასკვნეს არქეოლოგებმა შალვა ბუაძემ და როლანდ ისაკაძემ, რომლებმაც გარდა სამარხისა, ყურადღება ახლომახლო აღმოჩენილ თითოეულ ქვაზე, აგურზე გაამახვილეს.

ვიდრე სოფლისა და მუნიციპალიტეტის თავკაცები, სპეციალისტები სამუშაოს გაგრძელების მომდევნო ეტაპებსა

ხელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე, მედიის წარმომადგენლები სოფელ ტოლებს ვეწვიეთ.

თოვლი აქა-იქ შემორჩენოდათ მთებს შეპარულ ჭაღარასავით. ზამთრის ბოლო თვის მზეს ძალა მისცემოდა და სხივებს უხვად გზავნიდა დედამიწაზე.

ტოლებლები, სოფლის თავკაცის ხელმძღვანელობით ადგილზე დაგვხვდნენ.

დამახასიათებელი სისადავე, უბრალოება აქაც გამოამჟღავნა გამგებელმა და სახელდახელოდ დახურული საფლავის, ასე ვთქვათ, შესასვლელის გათავისუფლება ტოტებისა და ქვებისაგან თავადვე დაიწყო, მერე სხვა-

და საორგანიზაციო საკითხებზე, ძეგლის სავარაუდო სტატუსზე მსჯელობდნენ, სამტრედიიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგე გულიკო ცინცაძე და სპეციალისტი ლევან კრავეიშვილი შემოგვიერთდნენ.

არც ამჯერად უმტყუნა პროფესიულმა ალღომ ქალბატონ გულიკოს და ტოლებიდან ნადავლის გარეშე არ წამოსულა, ნადავლი კი საუკუნეთა ქურაში

ნაწრთობი აგურ-კრამიტია, რომლებიც ამიერიდან სამუზეუმო ექსპონატებია.

ვუცქერდით ტოლების ერთ ჩვეულებრივ მთაში (ბორცვში) ჩაგულებულ სამარეს და იქ მყოფთ ერთი აზრი გვიბურღავდა გონებას _ ვინ იცის, იქნებ ეს ერთი (არა) ჩვეულებრივი დღე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს არა მარტო სოფლის, მუნიციპალიტეტისა და რეგიონის, არამედ საქართველოს ისტორიისათვის.

მოსაღამოვდა, სამტრედიისაკენ ავიღეთ გეზი, სოფლის ცენტრში რამდენიმე მამაკაცს გავესაუბრეთ: კომუნისტები ეკლესიებს ანგრევდნენ და კანტორებს, კლუბებს აშენებდნენ. ამ მთებში უამრავი საყურადღებო რამ იქნება დაფლული უეჭველადო. _ გვითხრეს ჭარმაგებმა.

და მაინც, ვინ განისვენებს საფლავში, რომლის აღმოჩენამ ესოდენი ყურადღება მიიპყრო?

იქნებ წარჩინებული ერისკაცი ან ღირსი სასულიერო მოღვაწე, იქნებ დედის ერთა და ნუგეში, არც ის იცის ვინმემ, არავის ახსოვს, ვინ დაიხოკა ღაწვები მისი გარდაცვალების გამო, მისი დამტირებლის მოთქმა-გოდებაც არავის ახსოვს მზისქვეშეთში შემოგარენში ცადაზიდული მთების გარდა.

ასე დასრულდა 3 თებერვლის დღე.

არქეოლოგებმა კი აღმოჩენილის ირგვლივ სამუშაოები დაიწყეს...

რამდენი რამ იმალება ბებერ ქართულ მიწაში.

მიჰქმას გიღოცავთ!

შობის შემდეგ მეორმოცე დღეს მარიამმა და იოსებმა აიყვანეს ყრმა იესო ტაძარში, რომ მის მაგიერ ღვთისთვის მსხვერპლი შეეწირათ.

იერუსალიმში ამ დროს ცხოვრობდა მოხუცი სიმეონი, კაცი მართალი და კეთილმსახური. ის მოელოდა მაცხოვარს და სული წმინდა იყო მასზედა, მას წინათ სულიწმინდისაგან ჰქონდა თქმული: "არ მოკვდები, სანამ არ იხილავ უფალსო".

სული წმინდის ჩაგონებით იგი მივიდა ტაძარში, აიყვანა ხელში ყრმა იესო და სთქვა: "აწ განუტევე მონა შენი მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა"...

15 თებერვალს (2 თებერვალი ძველი სტილით) ეკლესია უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მირქმას (გულზე მიკონება, მიგებება) აღნიშნავს.

ლევან გაბეჩავა

2016 _ "ვეფხისტყაოსნის" წელი

"ან დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელითა"

ლევან გაბეჩავა

ძველი ქართული წიგნის ჩამოყალიბების გრძელ გზაზე ქართული ლიტერატურის დაფუძნება-განვითარების დიდ ნიშანსვეტად აღმართულა რუსთაველის გენიალური ქმნილება "ვეფხისტყაოსანი".

მამა-პაპათა ღვაწლს ქართული ძველისძველი მწიგნობრობისა და მწერლობის სფეროში, ქართველ პოეტთა მეფე გალაკტიონ ტაბიძე ასე აფასებდა:

"თრთიან, როგორც მზის ანარეკლები,
ძველი ქართული ენის ძეგლები.
გულდამშვიდების თუ აძგერების
ხმა ძველთაძველი ხელნაწერების...
რამდენი მწარე ღამის მთევია,
რასაც ჩვენამდე მოუღწევია."

მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის ბატონობის პირობებში აღმოცენებული თბილისის სტამბა იყო მეტად თავისებური, ბევრი სიახლის მაუწყებელი კულტურულ-საგანმანათლებლო საწარმო, სადაც წიგნები იბეჭდებოდა "ბრძანებითა მეფისათა", "კურთხევითა კათალიკოსითა", მაგრამ სტამბას გააჩნდა საკუთარი სამოხელეო, საწარმოო და სარედაქციო აპარატი: "მესტამბეთუხუცესი" _ თანამედროვე გაგებით სტამბის დირექტორი, მენეჯერი. "მესტამბე", "ბეჭდვის ზედა მდგომელი", "მთარგმნელი", "ღრამატიკის კანონზედ გამმართველი" და ა. შ.

ქართული სტამბა, მართალია, თბილისში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ხოლო ქუთაისში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე დაარსდა, თუმცა, ქართული წიგნი სტამბურად ბევრად ადრე დაიბეჭდა: პირველად 1629 წელს რომში, შემდეგ კი, 1705 წელს მოსკოვში.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ ქართულად დასტამბული წიგნების სათავეებთან ყოველთვის ქართველი მამულიშვილები იდგნენ, რომლებსაც ბედმა სამშობლოდან შორს არგუნა ცხოვრება.

სიახლეს უკვე არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ 1709 წელს ვახტანგ VI მიერ თბილისში დაარსებულ სტამბაში 1712 წელს "ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა. აღსანიშავია ერთი, კერძოდ ის გარემოება, რომ როცა თბილისში "ვეფხისტყაოსანი" იბეჭდებოდა, ვახტანგ VI იძულებული იყო, შაჰს ირანში ხლებოდა, ხოლო ქართლის გამგებლად თავისი ძმა სვიმონი დაეტოვებინა. ამდენად, ცხადია, წიგნის დაბეჭდვისა და გამოცემისთვის პასუხისმგებლობა ვახტანგის გაწვევის შემდეგ, "ვეფხისტყაოსნის" გამმართველს, ხელმწიფის კარის ჯვრის მტვირთველს, დეკანოზის შვილს, მიქელს ეკისრებოდა. რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების გაღრმავებასთან დაკავშირებით აზრთა სხვაობამაც იჩინა თავი.

მაგალითად, იუსტინე აბულაძე ფიქრობდა, რომ "ვეფხისტყაოსნის" 1712



წლის ბეჭდვური გამოცემის რედაქციის ავტორად ძნელად შეიძლება ვახტანგ VI ვიგულვოთო.

კორნელი კეკელიძე უფრო კატეგორიულად აცხადებდა და მიდიოდა დასკვნამდე, რომ პირველი ქართული სტამბური გამოცემის ტექსტის რედაქტორი ვახტანგ VI არ ყოფილა, მას მხოლოდ იდეა ეკუთვნოდა და გამოცემას დართული კომენტარები, გამოცემის ფაქტიურ რედაქტორად კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა ხელმწიფის კარის ჯვარის მტვირთველს, დეკანოზის შვილს _ მიქელს.

აკაკი შანიძე ზომიერებას იცავდა და აღნიშნავდა, რომ დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ აზრს, რომ "ვეფხისტყაოსნის" 1712 წლის რედაქციის ავტორი შესაძლოა, მარტო ვახტანგ მეექვსე არ ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ვახტანგ მეექვსეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის, უშუალოდ 1709 წელს თბილისში სტამბის გახსნისა და 1712 წელს ამავე სტამბაში გენიალური შოთა რუსთაველის ხელიხელ საგოგმანებელი "ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვის საქმეში.

ვახტანგ VI და მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა გადაარჩინეს "ვეფხისტყაოსანი" ყალბისმქმნელ-დამღუპველთაგან.

ტექსტის სასტამბოდ მომზადებას წინ უძღვოდა ღრმად გააზრებული მუშაობა. მეფე მხოლოდ შერჩეულ ხელნაწერებს ემყარებოდა, შეგრავდა ყველა საუკეთესო ხელნაწერი.

"ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გამმართველი მიქელი გვარწმუნებს, რომ 1712 წელს დაბეჭდილი "ვეფხისტყაოსანი" ისეთივეა, როგორც ის იყო ავტორის _ რუსთველის მიერ ხელით დაწერილი.

"აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელითა". _ წერს მიქელი.

1712 წელს "ვეფხისტყაოსნის" სტამბური წესით გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას, რომელიც წელთა სვლასთან ერთად ახალი, ყურადსაღები და უმნიშვნელოვანესი მასალებით შეივსო.

"ჩემთვის მთავარი ამ ბავშვების გაღიმებული სახეებია"

ნინო ნანიტაშვილი

''რესპუბლიკური პარტიის'' რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, იმედა გოგავა 9 თებერვალს თანაპარტიელებთან ერთად დაბა კულაშის ბაგა-ბაღს ეწვია. კარგა ხანია, ამ საყმაწვილო დაწესებულებას იმედა გოგავა შეფობას უწევს და წლის სხვადასხვა დროს, პატარებისათვის საყვარელი სათამაშოებითა და ტკბილეულით ხელდამშვენებული სტუმრობს.

ასე მოხდა ამჯერადაც, ''რესპუბლიკური პარტიის'' რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ რამდენიმე დღით ადრე მოსალოდნელ ვიზიტზე საქმის კურსში დაბა კულაშის ბაგა-ბაღის მმართველი ჩააყენა. ეკა ბელთაძე იმედა გოგავას მხრიდან ხშირ მზრუნველობას მიჩვეულია და არც ეს აქცია გაკვირვებია: ''მადლობის მეტი რა მეთქმის ბატონი იმედას და მისი თანაპარტიელების მისამართით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს არა მარტო ჩვენი დაწესებულების, არამედ ზოგადად დაბა კულაშის მიმართ. დღევანდელი აქციის შესახებ წინასწარ შემატყობინა. ვიცოდი, რომ ჩვენი აღსაზრდელებისთვის სათამაშოები უნდა მოეტანათ. თქვენც ნახეთ, როგორ გაიხარეს ჩვენმა პატარებმა. ბატონმა იმედამ პრობლემები მოიკითხა და დაინტერესდა, რით გვინდა დაგვეხმარონ''.

შარშან ''რესპუბლიკურმა პარტიამ'' დაბა კულაშის ბაგა-ბაღში ახალი ინვენტარი შეიტანა. იმედა გოგავამ 9 თებერვალს ბელთაძისგან შეიტყო, რომ 35 სკამისა და 15 მაგიდის დეფიციტს განიცდიან. პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბაგა-ბაღის მმართველს პირობა მისცა, უახლოეს მომავალში დამატებით კვლავ შეუძენენ ინვენტარს. პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ საყმაწვილო დაწესებულებაში თვალისმომჭრელი სილამაზის ქაღალდის პარკებით ხელდამშვენებული სტუმრები დაინახეს. სა-

საზრდელების პედაგოგია. მისი პატარები იმედა ბიძიას ახლოს იცნობენ და მასზე დიდი წარმოდგენა აქვთ: ''დიდი მადლობელი ვართ, ჩემი აღსაზრდელები ხშირად ახსენებენ ბატონ იმედას, რომელიც გვანებივრებს ჩვენს მიმართ თავისი კეთილი დამოკიდებულებით. დღევანდელი დღეც ამის დასტურია. ღმერთმა გვიმრავლოს იმედა გოგავასნაირი გულისხმიერი ადამიანები''.

რაიონულ ორგანიზაციას დაახლოებით 500-მდე ლარი დაუჯდა პატარების საჩუქრების შესაძენად. ''რესპუბლიკურმა პარტიამ'' ერთი დღე გაულამაზა კუ-ლაშელ პატარებს. ჩემი, მაჟორიტარის მცდელობაა, ყურადღება არ მოვაკლო დაბის ბავშვებს და არა მარტო მათ. ვიდრე დეპუტატი გავხდებოდი, მცდელობას არც მანამდე ვაკლებდი, ჩემი ხალხისთვის პრობლემები შემემსუბუქებინა. მთავარი ჩემთვის ამ ბავშვების გაღიმებული სახეებია. მათზე ზრუნვას მომავალშიც ვაპირებ. არ მინდა, კულაშელი პატარები ქალაქის ცენტრალური ბაგა-ბაღების აღსაზრდელებზე ნაკლები ყურადღებით სარგებლობდნენ''. _ განაცხადა იმედა გოგავამ ''სამრტედიის მაცნესთან'' კომენტარში.

ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა იზრდება

სკოლამდელ დაწესებულებებში საყმაწვილო პროცესი სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველ თებერვალს განახლდა. ამ უკანასკნელის 4 დღით შეჩერება უამინდობითა და ვირუსებით იყო განპირობებული.

პირველი თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით, სტატისტიკაზე დაყრდნობით, ბაგა-ბაღებში ბავშვთა რაოდენობა მატულობს. 1721 აღსაზრდელიდან წინა კვირაში საშუალოდ 600 ბავშვი დაჰყავდათ მშობლებს. მიმდინარე კვირის მდგომარეობით, რაოდენობა 700-მდეა გაზრდილი.

ხათუნა ახობაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა აღზრდის გაერთიანების დირექტორი: "ჩვენ საყმაწვილო პროცესი ყოველგვარი ნორმების დაცვით 25 იანვარს განვაახლეთ, თუმცა იმავე დღეს დავითხოვეთ აღსაზრდელები, რადგან ამინდი სერიოზულად გაუარესდა, იყო ყინვები. მშობლები ფრთხილობდნენ პატარების ბაგა-ბაღებში მოყვანას. ამდენად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, საყმაწვილო პროცესი 1 თებერვალს გაგვეახლებინა. 23-ვე საბავშვო ბაღიდან ყოველდღიურად ვღებულობ ინფორმაციას. ყველგან ნორმალური სიტუაციაა, გვაქვს საკვების საჭირო რაოდენობა, ყველა ბაღი თბება. ხელს არაფერი გვიშლის. სურვილი მაქვს, პრესას თავისი თვალით ვანახო ის სამუშაოები, რომლებიც 5 ბაგა-ბაღში ჩავატარეთ. ამის შესახებ მინდა, ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველს დაწვრილებით მომდევნო ნომერში მოვუთხროთ''.

ნინო ნანიტაშვილი

მადლობა ღამაზი დახბაზისათვის!

"ყველა ზღაპარი _ ნაოცნებარი,
ახდენილა და გამართლებულა..."

საშობაო არდადეგების დაწყებამდე ჩვენმა აღმზრდელმა გვითხრა, რომ მუშაობას ახალგარემონტებულ დარბაზში განვაახლებდით. ეს ინფორმაცია ზრდილობიანად მოვისმინეთ, მაგრამ ნამდვილად არ დაგვიჯერებია. მგონი, თავისი სიტყვების თვითონაც არ სჯეროდა. საბავშვო ბაღში დაბრუნებულებს მართლაც ახალი დარბაზი დაგვხვდა. ეს კიდევ არაფერი. გაგვაკვირვა ყველაზე ლამაზმა სიურპრიზმა _ სცენამ, რომელმაც ისე დაამშვენა ყველაფერი, რომ გინდა ბავშვად იქცე და აცეკვდე, ლექსი წაიკითხო და ამღერდე.

არ ვიცით მადლობა ვის გადავუხადოთ... კეთილო ადამიანებო! ჩვენს შვილებზე დაუღალავად მზრუნველებო! მიიღეთ ჩვენი სიყვარული და მადლობა ჩვენი შვილების ბავშვობის ასე გალამაზებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ამ იდეის ავტორს _ ბაღების გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ ხათუნა ახობაძეს. კვლავაც წარმატებებით დახუნძლულ წელს გისურვებთ!

დიდი სიყვარულით № 4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები

ვიბარებთ დაფნას...

დაფნას ვიბარებთ... _ მოგვესმა ამას წინათ მოძრავი მანქანიდან. სამეზობლოში დაფნის ჩამბარებლებიც აღმოჩნდნენ და ხობელ მამა-შვილთან საუბარიც სახელდახელოდ შედგა.

80 წელს კარგა ხანია გადავაბიჯეო ჭარმაგმა, რომელსაც 60 წელს თუ მისცემდა კაცი.

ალიოწზე ვდგები, 6 ძროხასა და მის ნამატს, ფრინველს სიამოვნებით ვუვლი, სამყოფი ციტრუსიცა მაქვს და ჰექტარ ყანასაც ორი სამი კაცი ოთხ დღეში ვთოხნითო, _ გვითხრა რესპონდენტმა, რომელსაც პირობითად ვახტანგს ვუწოდებთ. მე და ჩემი შვილი 7 წელია, ამერიმერში დავდივართ, როგორც ხმელ, ისე ნედლ დაფნას ვიბარებთ და ორმაგ სიკეთეს ვაკეთებთო. _ დასძინა მან.

სანტიმეტრ, სანტიმეტრ-ნახევრიანი ტოტები (სიგრძე განუსაზღვრელი) კილოგრამი 35 თეთრი, ხმელი დაფნა _ კილოგრამი 3-4 ლარი... არაა ცუდი ფასი დღევანდელი შეჭირვებული ადამიანისთვის, ოჯახისათვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონმა ვახტანგმა იმ დღეს კლიენტიც გვარიანად იშოვა და რეალური გვარ-სახელის გასაიდუმლოების მიზეზიც მარტივად ახსნა: ეშმაკს არ სძინავს, ''დაუპატიჟებელმა სტუმრებმა'' რომ არ შემაწუხოსო. არაა ძნელი მისახვედრი, ვის გულისხმობდა ''დაუპატიჟებელ სტუმრებში''.

დამშვიდობებისას ბატონმა ვახტანგმა ის დრო გაიხსენა, როცა საქართველოში დაფნის გაშენების ბუმი იყო დიდი მოთხოვნისა და ფასის გამო.

_ არ ვიცით ქართველებმა ქართული მიწის ფასი და არც ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს ვიყენებთ მიზნობრივად, თორემ დაფნის, როგორც უმშვიათესი სამკურნალო და მრავალმხრივ გამოყენებადი ნედლეულის თვისებები ფასდაუდებელიაო, _ დასძინა რესპონდენტმა და შეკრებილთ დაგვემშვიდობა.

დაფნა არ აჩეხოთ, დაფნა მოაშენეთ, ძველ დიდებას უეჭველად დაიბრუნებსო ეს ღვთიური მცენარე.

დაფნას ვიბარებთ, ვიბარებთ დაფნას... _ ისმოდა მანქანიდან.

ლევან გაბეჩავა

პროტოკოლი მეწაღლეებს მოერგო

თეა ბაბუნაშვილი

მსოფლიომ ხარაზთა საერთაშორისო დღე აღნიშნა. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას სამტრედია ხომ არ გამოტოვებდა და, ალბათ კი არა, ნამდვილად, ჩვენი ქალაქის ისტორიაში პირველად, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის ინიციატივით, გამგეობის სხდომათა დარბაზში მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ვალერი ფოცხვერიასთან, პირველ მოადგილე დათო ბახტაძესთან, მოადგილე ლიზა კრავეიშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან, მის მოადგილე კობა ძიძიგურთან, საკრებულოს წევრებთან, მანანა სირბილაძესა და მერაბ უღრელიძესთან ერთად სამტრედიელი ხარაზები ისხდნენ.

იყვნენ ყველა, ვინც მოსვლა შეძლო. ასაკოვნებზე არაერთი კეთილი სიტყვა ითქვა. მათგან უხუცესი, გივი ვართანოვი, სახლში მოინახულეს ვალერი ფოცხვერიამ და ნატალია მანჯგალაძემ.

ამ უძველეს პროფესიაზე ლამაზად ისაუბრეს. იცოდა ყველამ, ამჯერად უფრო თვალნათლივ დაინახა, რომ ცივილიზაციის განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა, ერთი შეხედვით, უბრალო ადამიანების და მათი ხელსაქმის გარეშე. ამიტომ დამსახურებულადაც, მსოფლიო ხარაზებს მადლობას ამგვარად ეუბნება.

ხარაზთა ამქრის როლი ძველი თბილისის და არა მარტო მისი, ნებისმიერი ქართული და არაქართული ქალაქის, დასახლების კოლორიტის შესაქმნელად რომ განსაკუთრებული და ორიგინალურია, ესეც თვალხილული ჭეშმარიტებაა.

...და ალიონზე თეთრ დუქანთან ატირებული არღნით და ჭიქა არყით მადაგახსნილი ხელოსნები ფარდულებს ხმაურით რომ გააღებდნენ... დღევანდელობამდე მოჰყვათ მათ შთამომავლებს, საქმის გამგრძელებლებს მაშინდელი იარაღები, ხელსაწყოები ხელობის რუდუნებით გასაგრძელებლად. "წკაპუნები" კი, "წკაპუნები" ალბათ დღესაც იკერება ახლადდასაწყები სიყვარულისთვის, ჩვენ კი, უბრალოდ არ ვიცით...

ჰო, რაც გინახავს, ვეღარ ნახო, იქნება, მაგრამ ხარაზებს, ქვეყნიერებასავით ძველი ამ პროფესიით, დღესაც ბევრგან გადააწყდებით, საქმეში თავჩარგულებს და ოჯახის პურის ფულის მშოვნელთ. მეწაღლეების იმ პატარა ოთახებში, ლამაზი ქალების, საყვარელი პოლიტიკოსების სურათები განსაკუთრებულ ორიგინალობას რომ ჰმატებს, მუდამ ჩართული რადიო კი დუნაის ცოდვა-მადლს გაგებინებს, მსოფლიოს ამბებიც ირჩევა, ქვეყნისაც, ქალაქისაც და გაცვეთილ ფეხსაცმელს ახალი იერი უბრუნდება კვლავ გასაცვეთად.

კულტურის სამსახურის თანამშრომლის გურანდა გურგენიძის მოპოვებული მასალა, საინტერესოდ წარმოადგინა კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა ეკა კიკაჩეიშვილმა. დღენიადაგ საქმიანი შეხვედრებით დატვირთულ დარბაზში, სადაც რაიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობენ, ლირიული გადახვევის დრო დადგა და ...

ბევრი რამ გაიხსენეს, წუთისოფლიდან წასულები მოიგონეს, აღნიშნეს, რომ ისევ საჭირონი არიან, ყოველ შემთხვევაში იქნებიან, ჯერ ისევ დიდხანს. მერე ვნახოთ, რას მოგვიტანს ცივილიზაცია და, და მისი უდიდებულესობა, დროს აყოლილი მოდა!

ნუგზარ კრავეიშვილს სამტრედიაში ყველა იცნობს. იცნობენ მისი "კარგი ხელის" გამო. კლიენტი არ აკლია, ეს რასაკვირველია! ჰო, ხშირად ტყუილის თქმაც უწევს და ესეც იმიტომ, რომ კარგი ექიმივით ყველას ფეხსაცმელს "ბაჭიან" უნდა უწამლოს. მამა, გივი კრავეიშვილიც მეწაღე გახლდათ. ნუგზარმა სწავლა, რომ დაასრულა, ცეკავშირის ბაზაში მომმარაგებლად მუშაობდა. მერე სამსახურს შეეშვა და უკვე გარდაცვლილი მამის ხელობა მისი ერთგული მეგობრისგან, ზურაბ ფხაკაძისგან შეისწავლა. რატომ? ჯერ ერთი მამის ხელობა იყო! და მეორეც, ოჯახის უკეთ სარჩენად ასეც სჯობდა! არადა, ამასოდაა, მაგრამ საერთოდ სადაა ისე, ადრე რომ იყო..." _ ეღიმებამურად კალაძეს.

ახალგაზრდები არ ეტანებიან მეწაღეობის შესწავლასო, ერთხმად აღნიშნავენ. არადა, რამდენი ხელობაც იცი, იმდენი კაცი ხარო, იმეორებენ. ასე რომ არის, მამუკა ჯულაყიძე გვარწმუნებს. ახალგაზრდაა. თანაკლასელმა ასწავლა, მურადი კალაძის შვილიშვილმა! მან, რა თქმა უნდა, ბაბუისგან შეისწავლა. უფრო სწორად, თანაკლასელები ბაბუამ დაიოსტატა. კლიენტმა ერთგულება და სიყვარული რომ იცის, ამ ხელობის მქონეებზე უკეთ ვინ გეტყვით. ნნ კალაძე ისე უყვართ, გასვენებაში და ქორწილში პატიჟებენ კლიენტებიო, _ დასძინა შეგირდმა მამუკამ ოსტატზე.

მამა "საპოჟნიკი" ჰყავდა ოთარ უღრელიძეს. ხელობა მისგან შეისწავლა, მაგრამ ელექტროტექნიკუმის დასრულების შემდეგ, 40 წელზე მეტი "ელქსელში" იმუშავა. პენსიაზე გასულმა გაიხსენა მამისგან ნასწავლი საქმე და უკვე არაერთი წელია, ოჯახს პურის ფული არ შემოლევია!

დიახ, იყო დრო, რომ ასე სჯობდა. ახლა კლიენტის კლებას უჩივიან მეწაღეები. თუმცა, იქვე იმაზეც, რომ ახლის ყიდვის თავი ბევრს არ აქვს და ისევ შეკეთებული ძველის იმედად რჩებიან. ძველი ეძახე და ხარისხით ათასჯერ სჯობია ახლად შემოსულ ფეხსაცმელს. "ცებოსთანა" სად შემოდის ახლა! ერთი ჩაცმა და პლასტმასი ტყდება, კარდონზე კერავენ. ადრე "პადოშზე" რომ შეკერავდნენ, "ერთი ლურსმანი არ იყო იმაში"! ფასები? ნუ იტყვი!

კოლორიტია, დიახ, კოლორიტია სამტრედიაში! იცნობს და მეგობრობს მასთან ყველა, თანამდებობის, ასაკის, წარმომავლობის მიუხედავად. თუ ყველაზე არა, ერთ-ერთი საჭირო კაცია ქალაქში! ის კი უბრალოდ ჭიჭიკო სოლომონაშვილია, მოკლე მეტსახელით, "ჭია"! "ჭია" და ყველაფერი ვთქვით! მეწაღე არასდოს ყოფილა, მაგრამ თავის "ავტოგრაფს" მაინც ატყობს ფეხსაცმელს. გამგებელმა ისიც კი გაიხსენა, რომ ბავშვობაში "ჭიას" მოკერილი ბურთით ფეხბურთი არაერთხელ უთამაშნია.

იმ დღეს ბევრი რამ დავაცდენინეთ ვალერი ფოცხვერიას ბავშვობიდან. 6 წლის ყოფილა, "მაკასინები" რომ შეაკერინა მისთვის მამამ. მას მერე "მაკასინი" ვალერი ფოცხვერიას საყვარელი მოდელი გახდა. თავდაპირველად ვინ შეუკერა იცის, ის კი ახსოვს, ვალოდია ყურულაშვილის შეკერილი აზიაცკებით რომ ცეკვავდა მთელი ბავშვობა! ამჯერად კი, როცა დასჭირდება, მამუკა ჯულაყიძის მომსახურებით სარგებლობს. ესეც რეკლამა ახალგაზრდა მეწაღისთვის!

მეწაღეები გამგეობის სხდომათა დარბაზის ლირიული გადახვევა გახდნენ. პროტოკოლი იმ დღეს სწორედ მათ მოერგო!

საჩუქრად 100-100 ლარი გადასცეს ხარაზებს! იდეაც დაიბადა, ამქარი ძველ ტფილისში მეწაღეების ერთობა იყო. მერე სხვადასხვაგვარი დატვირთვა შეიძინა ამ სიტყვამ. ამქრის ხელმძღვანელი უხუცესი მეწაღე გახლდათ, ყველაზე პატივსაცემი და გავლენიანიც! ჰოდა, ამიერიდან ყოველ წელს შეიკრიბებიან და სიგელიც დამზადდება ამქრის ხელმძღვანელისთვის, რომელსაც სიმბოლურად აირჩევენ.

რას მივხვდით იცით?! უფრო სწორად, ყველამ კარგად ვიცით, დრო ბრუნავს და ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველი რომ არის, თუნდაც ცივილიზაციით გადასხვაფერებული! ეს ყველაზე დიდი ჭეშმარიტებაა ამ წუთისოფელში!

ხოშაბა მაზრაშვილის საკონდიტროს ტკბილეული დღესაც ახსოვთ

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიაში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, ასირიელების, როგორც დამახინჯებულად იტყვიან, აისორების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ეს ის ხალხია, რომელსაც რთული ხვედრი არგუნა განგებამ. "ასურელები, აისორები, ასირიელები, ასურები, სირიელები, არამეელები, ქალდეელები სემიტური მოდგმის ხალხი, არამეელების შთამომავალნი, ცნობილნი არიან აგრეთვე, როგორც სირიელები. ცხოვრობდნენ ძირითადად სირიაში, ერაყში და მათი მიმდებარე თურქეთისა და ირანის ტერიტორიაზე, აგრეთვე აშშ-ში, სომხეთში, საქართველოში (თბილისში, მცხეთასა და გარდაბნის რაიონებში). ენაასურული. არაბთა და მონღოლთა დაპყრობის შედეგად ასირიელთა უმრავლესობამ ასიმილაცია განიცადა. რელიგია _ ქრისტიანობა (უმთავრესად იაკობიტები, ნესტორიანელები, აგრეთვე ნესტორიანული წესის კათოლიკეები) _ ეკითხულობთ ამ ხალხის შესახებ ისტორიულ წყაროებში.

სამტრედიაში მცხოვრები ასირიელები ჩვეულებრივ შეეთვისნენ ქართულ ყოფას, ტრადიციებს, ცხოვრობენ და ემსახურებიან ქართულ სახელმწიფოს. დღეს ჩვენ ერთ-ერთ ასირიელ ოჯახზე გვსურს გიამბოთ. ჩვენი მასპინძლის, სიმონ ხოშაბის ძე მაზრაშვილის ბაბუას სამტრედიელები მეტსახელით "კაკო აისორი" (ბუდიონას) სახელით იცნობდნენ. ეს ადამიანი იმ პერიოდის პროფესიის საუკეთესო წარმომადგენელი იყო, ფეხსაცმლის მწმენდავი. რაიკომის პირველი მდივანი კოლია ფანცულაია, ნოდარ კოხრეიძე... ვრცელია იმ ადამიანთა სია, ვინც მისი კლიენტები იყვნენ.



ბატონი სიმონის მამას, ხოშაბ მაზრაშვილს სკოლა ოქროს მედალზე დაუმთავრებია, სამედიცინო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი ყოფილა, ობიექტური მიზეზების გამო სწავლა რომ მიუტოვებია და სამტრედიაში დაბრუნებულა. მან სამტრედიაში სახელი კონდიტერული საქმიანობით გაითქვა. იმჟამინდელ რკინიგზის "დორრესტორნის" საკონდიტროების გაერთიანებთა გამგე 35 წლის განმავლობაში იყო. მისი პროდუქციით, უგემრიელესი ფუნთუშებით მარაგდებოდა არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ ჩვენს ახლოს მდებარე აბაშის, სენაკისა და ლანჩხუთის რაიონებიც.

"სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია იხსენებს: "სამტრედიაში დღეში სახალხო მატარებლის 50-მდე რეისი სრულდებოდა, ხოშაბ მაზრაშვილის საკონდიტროს ნაწარმი (იქნებოდა ეს სხვადასხვა დასახელების ნამცხვარი, კორჟიკი თუ ფუნთუშა), მატარებლებში აჰქონდათ და იმწამსვე იყიდებოდა. ეს იყო უგემრიელესი პროდუქცია, ამ საკონდიტრო ნაწარმის სურნელი დიდ მანძილზე იფრქვეოდა და მოშიებულ ადამიანებს მადას უღვიძებდა. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ქალაქში ყველაზე გემრიელ საკონდიტრო ნაწარმს აქ ამზადებდნენ. არაერთხელ შეუთავაზებია ბატონ ხოშაბას თავისი ფუნთუშეული უფულო ბავშვებისთვის. ამის გამო ქალაქში ეს ადამიანი განსაკუთრებულად უყვარდათ. ამ საკონდიტროს პასკებით მარაგდებოდა ქალაქი სააღდგომოდ. ეს იყო ეკოლოგიურად სუფთა და გემრიელი პროდუქტი, საწარმოში, სადაც ეს პროდუქცია მზადდებოდა, იყო იდეალური სისუფთავე".

"ოქრო კაცი" _ ასე მიესალმა ჩვენს ოთახში სტუმრად მყოფ სიმონ მაზრაშვილს ბატონი გიგანტი ბიბილეიშვილი, რომელიც ასევე იხსენებს, რომ როცა ის ყოფილ ჯიხაიშის ტექნიკუმში მუშაობდა, პედაგოგად, 1960-იან წლებში, მაზრაშვილების საკონდიტრო ნაწარმით მარაგდებოდა ტექნიკუმის სასადილო და სოფლის მაღაზიები.

სიმონ მაზრაშვილი: "მამაჩემის ბაბუა, მღვდელი იყო, 125 წლისა გარდაიცვალა, სამტრედიაში ჩვენი ეროვნების 6-7 ოჯახი ვცხოვრობთ. მყავს მეუღლე, ოთხი შვილისა და 8 შვილიშვილის ბაბუა ვარ. 1966 წლიდან მძღოლად ვმუშაობ. ჩემი ორი ვაჟიდან ერთ-ერთს მიხეილს ქართველი მეუღლე ჰყავს, მათგან ორი უსაყვარლესი შვილიშვილი მყავს: 5 წლის საბა და 3 წლის ნატალია".

ქალბატონი ნატალია ხორდაევი, ბატონი სიმონის მეუღლე გულთბილი მასპინძელია. გვეუბნება რომ წარმოშობით მცხეთიდან არის, სოფელ ქანდიდან 1975 წლიდან კი სამტრედიაში დამკვიდრდა, სიამაყით საუბრობს ასირიელებზე, რომლებიც მსოფლიოში მიმოფანტულნი არიან. "მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში არის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, იქვე 13 ასურელი მამის სახელობის ტაძარი, რომელიც უწმინდესმა აკურთხა. ამ ულამაზეს ტაძარს მთელი საქართველოს მრევლი აკითხავდა. ამ სოფელში ასურელები ცხოვრობდნენ. ჩვენ სამტრედიაში წლებია ვცხოვრობთ, ორი ვაჟიშვილი მყავს, რძალი მარნელი გვყავს, ეთერ ხოშტარია, ძალიან გვიყვარს ქართველები და ჩვეულებრივი კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს ყველასთან, მეორე ვაჟი ჯერ დასაოჯახებელია".

ქალბატონი ნატალია ასევე სიამაყით იხსენებს ამ ოჯახის მრავალწლიან ტრადიციულ საქმიანობას და პატივისცემით საუბრობს მამამთილზე, რომელიც მთელს ქალაქში ცნობილი იყო თავისი წესიერებითა და პატიოსნებით.

წინაპრებით ამაყობს ბატონი სიმონიც და მადლობას გვიხდის, მისი მამისა და პაპის გახსენებისათვის.

"ჩააბარეთ ჩვენს უნივერსიტეტში!"

შოთა ჯაჯავა

საინფორმაციო შეხვედრის ბოლოს თქმული ეს სიტყვები უსაფუძვლო ნამდვილად არ გახლავთ. 2016 წლის 4 თებერვალს სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლამ (დირექტორი ლენა ხაჟალია) კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

ჩნდება შეკითხვა: რას ნიშნავს სტუდენტებისთვის უმაღლესი სასწავლებელი?

_ განათლების მაღალ ხარისხს, დასაქმების მზარდ მაჩვენებელს, გაცვლით პროგრამებს, მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას... როგორც ხედავთ, პასუხები არაერთგვაროვანია.

კავკასიის ბიზნესის, სამართლის, მედიის, ეკონომიკისა და ჯანდაცვის, ტექნოლოგიების, სახელმწიფო მართვის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ტურიზმის სკოლები წინასაგამოცდო ციებ-ცხელებისას აბიტურიენტთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

მსოფლიოს უნივერსიტეტების პრეზიდენტთა ასოციაციის თავმჯდომარე, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა შენგელია მშობლიურ ქალაქში შეკრებილ აუდიტორიას ამომწურავად ესაუბრა სასწავლებლის სპეციფიკაზე და ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი უპირატესობა, რაც მათ სხვებისგან მართლაც გამოარჩევს. "ჩვენთან დასაქმების სამსახური ფუნქციონირებს, რომელიც ზრუნავს არა მხოლოდ სტუდენტთა, არამედ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზეც. სამსახური აფორმებს მემორანდუმებს საქართველოს ყველაზე წარმატებულ კომპანიებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო მიმართულებით. ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციის საჯარო და ექსკლუზიური ვაკანსიები, თქვენი კარიერული წინსვლის ხელშესაწყობად". _ განაცხადა მან.

დასმულ კითხვებს უპასუხა და მეტი სიცხადისთვის ზუსტი სტატისტიკაც მოიშველია საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ. მისი თქმით, ახალგაზრდები, რომლებიც აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლობენ ან სწავლობდნენ, მუშაობენ ორგანიზაციებში: "ვი-თი-ბი ბანკი", "ბანკი რესპუბლიკა", "საქართველოს ბანკი", "ჯეოსელი", "ჰოლიდეი ინ", სახელმწიფო აუდიტის სამსახური, "ნატახტარი" და ა. შ.

როგორია დასაქმების სტატისტიკა? _ კურსდამთავრებულების _ 98%; მეოთხე კურსის სტუდენტების _ 92%; მესამე კურსის სტუდენტების _ 78%. რაც ყველაზე საინტერესოა, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მეორე კურსის სტუდენტებიც კი მუშაობენ _ 48% დასაქმებულია.

სამართლის სკოლათა საერთაშორისო ასოციაცია, ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია, საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია, პოლიტიკური კვლევის ევროპული კონსორციუმი, სამართლის სწავლების საერთაშორისო ცენტრი _ ისინი თანამშრომლობენ კავკასიის სამართლის სკოლასთან, რომლის დეკანის, პროფესორ ზაზა მარუაშვილის, პროფესიონალიზმზე ამავე სკოლის მე-4 კურსის წარჩინებული სტუდენტების, დიდიმ სტურუასა და ნუცა ნიკოლეიშვილის _ გამოსვლა მეტყველებდა.

სახელმწიფო მართვის მე-2 კურსის სტუდენტმა, ნანუკა ინასარიძემ, გულწრფელი შთაბეჭდილებები გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას: "უნივერსიტეტი ითვალისწინებს უამრავი სტუდენტის ინტერესს, რაც, ალბათ, დიდი შრომის ფასად ხდება. ხშირია: ექსკურსიები, სოციალური პროექტები, გაცვლითი პროგრამები... გვეძლევა შანსი, ვნახოთ, როგორ მუშაობენ წამყვანი საერთაშორისო კომპანიები, გავეცნოთ პროფესიათა სიღრმისეულ დეტალებს და შევძლოთ ცოდნის რეალიზება!"

იმედია, კავკასიის უნივერსიტეტი მომავალშიც უერთგულებს არჩეულ გზას. მეწინავეობა აღიარებასთან ერთად დიდად საპასუხისმგებლოა!

გალერეა

წარმატებული მწვრთნელი

რუბრიკა "გალერეა" იმ ადამიანს მასპინძლობს, რომლის აღზრდილ სპორტსმენთა წარმატებებზე ხშირად იწერება, მასზე კი...

ჭადრაკის ანბანი მამამ შეასწავლა, მერე კი ბატონებმა, ანზორ მაჩიტიძემ და მერაბ არჩვაძემ დიდი როლი ითამაშეს მისი, როგორც პროფესიონალი მოჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებლის ჩამოყალიბებაში.

ბატონმა ბესო ლეჟავამ ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სამი ათეული წელი მიუძღვნა ნორჩ მოჭადრაკეთა აღზრდის მეტად საჭირო საქმეს.

თუ დღეს სამტრედია კანონიერად იწონებს თავს იმით, რომ ჩვენს რაიონში არაერთი და ორი წარმატებული მოჭადრაკე აღიზარდა, ამაში ბატონი ბესოს დიდი წვლილია. მაგალითები? რამდენიც გნებავთ!



სხვადასხვა დროს ბესო მასწავლებლის საყვარელი მოსწავლეები იყვნენ მარიამ თევზაძე, სიმონ ხაჟალია, მერი არაბიძე...

_ უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ის გარემოება, რომ ჭადრაკის, ამ გონივრული სპორტისადმი ინტერესი თანდათან ძლიერდება ახალგაზრდებში. _ აღნიშნავს რესპოდენტი და აღფრთოვანებით საუბრობს 8 წლის ნორჩი, პერსპექტიული მოჭადრაკის მარიამ გოთოშიას მიღწევებზე.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ეროვნული ოსტატი, მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში ყველა დროის გამოჩენილ მოჭადრაკეებად ნონა გაფრინდაშვილსა და ალექსანდრე ალიოხინს მიიჩნევს, მოსწონს მათი კომბინაციები, თამაშის სტილი.

_ მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში ლეგენდარულ ნონა გაფრინდაშვილს დაბადებიდან 75 წელი უსრულდება, მინდა წინმსწრებად მივულოცო სახელოვანი იუბილე ამაგდარ ქალბატონს, დასძინა ბატონმა ბესომ.

ჭადრაკში ეროვნულ ოსტატს მხატვრული ლიტერატურის კითხვა სიამოვნებას ანიჭებს, უყვარს ისტორიული ფილმები.

_ ჩვენთან საუბარში ბატონმა ბესომ საკუთარი გულისტკივილი ჩვეული თავაზიანობით გააზმიანა: მართალია, ადრინდელისგან განსხვავებით ამჟამად სპორტსმენები, მწვრთნელები მეტად ვართ ყურადღების ცენტრში, მაგრამ უფრო მაღალი შედეგებისთვის აუცილებელია მტკიცე, სათანადო მატერიალური ბაზა, კარგი იქნება, ახლო მომავალში პერსპექტივაში საჭადრაკო კლუბის გახსნა თუ დაიგეგმება. _ გვითხრა მან.

გასული წლის შედეგების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოწინავე ადამიანებთან ერთად ბესო ლეჟავა წარმატებულ მწვრთნელად დასახელდა და შესაბამისი ჯილდოც გადაეცა, არავის გაჰკვირვებია, პირიქით.

ვიმედოვნებთ, წარმატებული მწვრთნელის შეგირდები ლამაზი, გონივრული თამაშებით არაერთხელ განგვაცდევინებენ სიხარულსა და სიამაყეს, "სამტრედიის მაცნე" კი კვლავაც ერთგულად უმეგზურებს მათ.

ლევან გაბიჩავა

ჭადრაკი

საკვალიფიკაციო ტურნირზე

იმერეთის რეგიონის 200 სპორტსმენი მონაწილეობდა ჭადრაკში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც იანვარში გაიმართა. მათ შორის იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) მოსწავლეებიც, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს.

IV თანრიგოსნებში გაიმარჯვა და I ადგილზე გავიდა ნიკო ბარდაკოვი, II ადგილის მფლობელი გიორგი ბურკაძე გახდა, მათ III თანრიგი დაამტკიცეს (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

III თანრიგოსნებში II ადგილზე ნინო ნაჭყებია გავიდა, რომელმაც II თანრიგი დაამტკიცა (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

სპორტსმენები შესაბამისი თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლოდ სამტრედიელ ნორჩ მოჭადრაკეებს, მათ მწვრთნელებს, ნინო ჯვარშეიშვილსა და ბესო ლეჟავას, რომლებიც წლების მანძილზე საოცარი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

ლევან გაბიჩავა

ეს საინტერესოა

სხვადასხვა წლებში მსოფლიოში სიკვდილით დასჯის მრავალი ხერხი არსებობდა.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში იმპერატორის მოწინააღმდეგეებსა და ურჩებს სპილოს ტორის დაწოლით ჰკლავდნენ. სპილოებს ''ჯალათებად'' სპეციალისტები წვრთნიდნენ.

***

სარზე წამოცმა იყო რომაელების, ბერძნების, ჩინელებისა და თურქ-ოსმალთა დასჯის მეთოდი. დასასჯელებს გრძელ, წაწვეტებულ სარებზე აცვამდნენ მუცლით და წამებით კლავდნენ.

***

ცხენებით გაგლეჯის მეთოდს ბარბაროსები იყენებდნენ, თუმცა მსგავსი შემთხვევები ინგლისსა და საფრანგეთშიცაა დაფიქსირებული.

***

ცოცხლად მარხავდნენ დამნაშავეს ძველ ბაბილონში, შებორკილ მსხვერპლს ორმოში ჩააგდებდნენ და მიწას აყრიდნენ. ცოცხლად დამარხვის ფაქტები მეორე მსოფლიო ომის დროსაც დაფიქსირდა, როცა იაპონელმა ჯარისკაცებმა ჩინელები ცოცხლად დამარხეს.



***

ხეების წვეროებზე მიბმით დასჯა რუსეთში იცოდნენ: ორ მეზობელ ხეს მოდრეკდნენ, განსასჯელს ხელ-ფეხით ორივეს წვეროებზე მიაბამდნენ და ხეებს აუშვებდნენ, მსხვერპლი შუაზე იგლიჯებოდა.

***

1791-1981 წლებში საფრანგეთში სიკვდილმისჯილებს ძირითადად გილიოტინით სჯიდნენ _ თავებს აჭრიდნენ.

***

1888 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც სიკვდილმისჯილთა დასჯის საგანი, პირველად გამოჩნდა ელექტროსკამი.

ელექტროსკამზე დასმა დღესაც წარმოადგენს სასჯელის უმაღლეს ზომას და ამ ხნის მანძილზე ამ ტიპის სავარძლებში ''ჩაბრძანება'' ასეულობით დამნაშავეს მოუწია.

***

ბორბლებზე გაკვრა ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი იყო ძველ საბერძნეთში, იუდეაში, საფრანგეთში, რუსეთში, გერმანიასა და შვედეთში.

***

ჩინეთში მეცხრე საუკუნეში დამკვიდრდა და მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე გამოიყენებოდა ბასრი დანებით დამნაშავის აქნა.

მსხვერპლს _ სხეულის ნაწილებს ცალ-ცალკე, სათითაოდ მანამ აჭრიდნენ, ვიდრე არ მოკვდებოდა.

***

არტერიებგადაჭრილ დამნაშავეს თავქვე ჰკიდებდნენ და სისხლისაგან ცლიდნენ ძველ ეგვიპტეში.

მოამზადა ლევან გაბეჩავა

ჭკვიანი ხელჩანთა, რომელიც მფლანგველს საფულეს უმალავს

ძალიან რთულია, შოპინგის დროს, ლამაზი ფეხსაცმლის, სამკაულისა თუ სუნამოს ყიდვაზე თავი შეიკავოთ და ნახევარი ხელფასი არ გაფლანგოთ. როგორც ამბობენ, შოპინგი რელაქსაციისთვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ზღვარი აქაც არსებობს. სწორედ მათ, ვინც შოპინგისას ცდუნებას ვერ უმკლავდება, საკრედიტო ბარათზე ანგარიშის დაზოგვაში ჭკვიანი ხელჩანთა დაეხმარება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად იკეტება და საფულეთან მიახლოვების საშუალებას არ მოგცემთ.

დიზაინერებმა ჩანთას IBAG უწოდეს. ხელჩანთას სპეციალური სენსორები აქვს _ თუ სენსორებმა დააფიქსირა, რომ შოპინგი ''ღრეობაში'' გადაიზარდა, ან პატრონი საყვარელ მაღაზიაში შევიდა, ჩანთა ავტომატურად დაიკეტება და ელვის გახსნას ვერ შეძლებთ. ამასთან, სპეციალური პაწაწინა ნათურები ციმციმს იწყებს და ჩანთის მფლობელს მოკლე ტექსტური შეტყობინება ეგზავნება, რომ ''სახიფათო ზონაში'' იმყოფება.

როგორც მაიკლ ჰატჩისონი ამბობს, IBAG შექმნილია მათთვის, ვინც ხარჯებს ვერ აკონტროლებს. თუმცა, პროექტის ავტორები ამბობენ, რომ ადამიანებთან, რომლებიც შოპინგით შეპყრობილები არიან, ეს ჩანთა მაინც უძლურია.

უსიყვარულოდ?

''თვალი მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა...''

''გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, თვალს ავახელ? ზედ წამწამზე მიზიხარ...''

''ნეტავი, გოგო, მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი...''

''...გიყვარვარ? რა ადვილია, მიყვარხარ _ რარიგ ძნელი...''

სიყვარულმა ათქმევინა ქართველ კაცს ეს მრავლისმთქმელი სიტყვები, კაცს, ლამაზი ასულის წრფელი სიყვარული რომ შეჰყროდა სენივით.

სხვადასხვა ყვავილები ძველად სამიჯნურო მიმოწერისათვის გამოიყენებოდა, ასე მაგალითად:

შროშანის მირთმევით რჩეულს ეუბნებოდნენ _ დიდი ხანია, გულში ფარულად შენ სიყვარულს ვატარებო.

გვირილა იუწყებოდა: ჩემი გული სილამაზით კი არა, სიკეთით დაატყვევეთო.

ასკილით ეკითხებოდნენ: შეიძლება კი თქვენი ნდობა?

ღიღილოს გაგზავნით ურჩევდნენ: იყავი ასეთი ბუნებრივიო.

ყაყაჩო იუწყებოდა _ შენთან ყოფნა ძილს მგვრისო.

ძველად სატრფიალო ენაში 400-ზე მეტი ყვავილი გამოიყენებოდა. აი, ასე ლამაზად შეეძლოთ ადრე სიყვარულზე საუბარი.

14 თებერვალს წმინდა ვალენტინის _ სიყვარულის დღეს აღნიშნავენ.

გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა ვალენტინი ბერი იყო, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 160 წელს სიკვდილით იქნა დასჯილი.

არ არის ცნობილი, თუ რატომ იქნა ბერი დასჯილი და არც ისაა დაზუსტებული, რატომაა 14 თებერვალი სიყვარულის დღედ დაწესებული.

უსიყვარულოდ...

ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს.

ათასი ბაბილონის გოდოლი ჩამოაქცია ჟამთა სვლამ, ათასი გოროზი გულის ძახილი შეურია დიდ უდაბნოთა დაუსაბამო მდუმარებას.

უდაბურდებიან სემირამიდას ბაღებიც...

ვინ იცის, რამდენ ამპარტავან სულის ზეობას მოეღო ბოლო, რამდენი ზრახვა ჩაჰყვათ სამუდამო ძილში ბედისა და სახელის თავზეხელაღებულ მაძიებლებს და ''გამწარებით ხრავენ ქვიშასა''.

ინავლება სიყვარულიც...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვანი სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება ''ვით ბაზმა გაუქრობელი'' _ ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა.

_ ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!

გურამ ასათიანი

ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ!

ბატონებს კობა ქიძიშურსა და ბექან გეგეშიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, წარმატებებს გისურვებთ.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ღვაწლმოსილ აგრობიოლოგს, ბატონ **ბორის კახიანს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და უფლის წყალობას ვუსურვებთ!

''სამტრედიის მაცნე''

გია მეიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს. დღეგრძელი, ჯანმრთელი და ბედნიერი დიდხანს გვენახე შენს დიდ ოჯახთან ერთად. გვიყვარხარ და გვეიმედები მეგობრებს!

კაკავები

მერაბ წილოსანს!

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

40 წელი იმუშავეთ რკინიგზის ტრანსპორტზე, სადაც თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდით ახალგაზრდა თაობას. რკინიგზელების მიმართ გამოჩენილმა ყურადღებამ მოგიხვეჭათ დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული. დღესაც აგრძელებთ მოღვაწეობას რკინიგზის ვეტერანთა ასოციაციაში. ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ჯანმრთელად და ბედნიერად!

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი!

რკინიგზის დასავლეთ რეგიონის ვეტერანთა ასოციაციის სახელით რევაზ შამათავა

მერაბ წილოსანს!

დაბადების დღეს გილოცავთ, იხარე და იდღეგრძელე საყვარელ ოჯახთან ერთად. უფალმა გაგაძლიეროს.

ბექან გოგია, თამაზ ნიკურაძე

ბატონ რაულ ხუჭუას!

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, 75 წლის შესრულებას ჩვენი რაიონის კოლორიტ პიროვნებას, მეგობარს, მოყვასის ჭირ-ვარამის თანაზიარს. გისურვებთ წელთა სიმრავლეს თქვენი ოჯახის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. კვლავაც დიდხანს გევლოთ თქვენი საყვარელი ქალაქის ქუჩებში.

საუკეთესო სურვილებით ძირძველი სამტრედიელები

38 წლის შესრულებას ვულოცავთ ნოდარ ჯულაყიძეს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. გვიყვარხარ და გვეიმედები.

მეუღლე ირმა, შვილები ავთანდილი და გიორგი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა, მხატვართა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ბატონი

ლეონარდო გიორგის ძე შენგელია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მხატვართა კავშირის წევრი ბატონი

ლეონარდო გიორგის ძე შენგელია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ შენგელიების ოჯახს, ღირსეული პიროვნების, საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ბატონი

ლეონარდო შენგელიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ელენე ბოხუას დედის

დოდო რურუას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ელენე ბოხუას დედის

დოდო რურუას

გარდაცვალების გამო.

ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ელენე ბოხუას

დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნათია იობაძეს

ბებიის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრი თანაუგრძნობს ნათია იობაძეს

ბებიის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მედეა ჭკადუასა და ბეჟან გოგიას სიძისა და ქვისლის

სოსო ცაცანაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს გაბედავების ოჯახს ქალბატონი

გულნარას

გარდაცვალების გამო.

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ გაბედავების ოჯახს ქალბატონი

გულნარას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფლებს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლევან ნიკურაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები, მანანა, თეონა კუბლაშვილები თანაუგრძნობენ მედეა კიკაჩეიშვილსა და თამაზ წიქვაძეს მამისა და სიმამრის

ვაჟა კიკაჩეიშვილის

გარდაცვალების გამო.

უშალდა ბაბინათოლს გზა ზეციური სასუფევლისაკენ

გულნარა ლეჟავა-გაბედავას გამოსათხოვარი

ჩვენო მოფუსფუსე, მუდამ მოწესრიგებულო გულიკო! ჩვენს ხსოვნაში შენ კარგ ადამიანად, საუკეთესო სპეციალისტად და განსწავლულ პიროვნებად დარჩები. ცხოვრებამ ბევრჯერ გამოაჩინა ბრჭყალები შენს ყოფაში, მაგრამ შემართებით, გაგებით და სწორად გათვლილი ლოგიკური ნაბიჯებით პასუხობდი. ამით იყავი სანიმუშო თითოეული ჩვენგანისათვის. ასეთი მაგალითებით გვზრდიდი, გვწვრთნიდი, გვმოძღვრავდი შენს კოლეგებს.

შემართებით დახვდი შენს მოსანახულებლად საავადმყოფოში მოსულებს. გეიმედებოდა ხვალინდელი დღე. გეგმებსაც აწყობდი, მაგრამ... უცაბედად შეწყდა შენი გულისცემა. რამდენი ათეული წელი განვლეთ ერთად. უღალატო მეგობარო, საუკეთესო კოლეგავ და სამაგალითო ადამიანო, გულით დაგტირით ყველა.

დიდხანს გაჰყვება სევდა და კეთილი მოგონებები შენი მშობლიური სკოლის აღზრდილებს, აღსაზრდელებსა და პედაგოგებს, სადაც თითქმის ხუთი ათეული წელი უმწიკვლოდ იღვაწე.

იძინე უშფოთველად, კარგო ადამიანო, შესანიშნავო დედავ და ბებიავ. შენ პირნათლად მოიხადე ვალი სკოლის, საზოგადოების, შვილების, ახლობლების, აღზრდილებისა და პროფესიის წინაშე!

გემშვიდობებით დიდი გულისტკივილით.

მე-10 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

გულნარა მასწავლებელო!

ძნელია, იმ რეალობასთან შეგუება, რომელსაც თქვენი გარდაცვალება ჰქვია!

დაშრეტილი უსაზღვრო ენერგია, დადუმებული მათემატიკის უბადლო ცოდნა, დახურული ლურჯი თვალები, სიკეთითა და სიყვარულით სავსე გაჩერებული გული!

იძინეთ ტკბილად, ძვირფასო მასწავლებელო!

ძალიან გვიყვარდით! მუდამ გვემახსოვრებით!

თქვენი მოსწავლეები
№10 საჯარო სკოლა

არდავიწყება

სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როცა მასზე წერილის დაწერა დამევალა, უფროს კოლეგასა და უღალატო მეგობარს, ბატონ ანზორ გრიგოლიას დავეკითხე, როგორ იცნობენ, როგორი კაცია მიხეილ კოპალეიშვილი, მასთან საუბრით მოხიბლული ვარ-თქო.

უკეთილშობილესი ადამიანია, თვალდახუჭულმა შეგიძლია წერილს ხელი მოაწეროო.

თავს არ ვიქებ, წერილი კარგი გამოვიდა, უღრმესი მადლობა თავად მიხეილ "პეტროვიჩმაც" გადამიხადა და ერთურთს თბილად დავშორდით.

1915 წელს დაიბადა სამტრედიაში.

ლენინგრადის კავშირგაბმულობის საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონმა მიხეილმა განვლო შრომითი გზა ტექნიკოსობიდან რკინიგზის დისტანციის უფროსობამდე.

1969 წელს მიხეილ კოპალეიშვილი რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მთავარ ინჟინრად ინიშნება, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა რკინიგზის სხვადასხვა ორგანიზაციებში ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს. წლების მანძილზე გახლდათ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

განსაკუთრებულია ბატონი მიხეილის ღვაწლი ამიერკავკასიის რკინიგზის (შემდეგში საქართველოს რკინიგზა) ობიექტების განვითარების, რკინიგზელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ზემდგომ ორგანოებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ მაღალკვალიფიციური ინჟინრის დამსახურება და 1968 წელს მას "საპატიო რკინიგზელის", ხოლო 1971 წელს საქართველოს "დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება მიანიჭეს.

რკინიგზელთა ქალაქია სამტრედია. საშუალო და უფროსი თაობის რკინიგზელები, ზოგადად სამტრედიელები, დღესაც პატივისცემით იგონებენ ღვაწლმოსილ პიროვნებას, ღირსეული ოჯახის ღირსეულ თავკაცს, ბატონ მიხეილ პეტრეს ძე კოპალეიშვილს, რომელსაც ამ დღეებში 100 წელი შეუსრულდებოდა.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

გურამ ლომიძის გახსენება

10 თებერვალი შენი დაბადების დღეა, ჩემო საუკეთესო მეგობარო, გურამ, უკვე მესამე წელია, უშენოდ ვხვდებით ამ დღეს, მოვალთ შენს საფლავთან და გაგიხსენებთ მეგობრები!

ნათელში იყოს შენი კეთილი სული!

ავთანდილ კაშია ოჯახით



ლონგინოზ თავაძის გახსენება

40 დღე კარგი ადამიანის მონატრებით გავიდა. ღვთის საუფლოში დაიდო ბინა და სამუდამო განსასვენებლად მშობლიური მიწა არჩია. კაცური კაცის სახელით ნაცხოვრები წლები მისი ცხოვრების კეთილ მოსაგონრად დატოვა ახლობლების, მოკეთეების, მეზობლების მეხსიერებაში. გაანათლოს უფალმა! გვემახსოვრება კაცად, რომელმაც გამაკეთილშობილებელი კვალი დასტოვა ამიერში.

ფარნავაზის ქუჩის მესამე ჩიხის მეზობლები

სოსო ნიკურაძის გახსენება

დრო მიდის... შენი მონატრება უფრო და უფრო გვიძლიერებს იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია.

ძალიან გიყვარდა შენი მშობლიური სოფელი გომი, ამიტომაც დაიდე იქ სამუდამო ბინა.

რიონიდან მონაბერი სიო მოეფერება შენს საფლავს და წაგჩურჩულებს, რომ შენ ძალიან კარგი ადამიანი იყავი, გიყვარდა სიცოცხლე...

სიკვდილი უძლურია შენთან, იგი შენს ხსოვნას ვერაფერს დააკლებს...

შენი ოჯახი

"კესანემ" სამტრედიაშიც "ამოიყარა"

ნინო ნანიტაშვილი

კესანე ყვავილის სახელია. საქართველოში: მისი 15-მდე სახეობა იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. მას განსხვავებული სახელით იცნობენ: ქართულად კონკიძველა, ზემოიმერულად ციცინო, რაჭულად _ თიკნიკურა და სხვა. კესანემ სამტრედიაშიც "ამოიყარა"...

ორი სამტრედიელი მშვენიერი გოგონა, ორი ანა "კესანეს" მაღაზიის სახელწოდებად მხოლოდ იმიტომ ირჩევს, რომ კესანესავით ნაზი და სასურველი, ამასთან, მრავალფეროვანი სუნამოების არჩევანი შესთავაზოს სამტრედიელ ქალბატონებს. და არა მარტო მათ, პარფიუმერიის შერჩევა აქ მამაკაცებსაც შეეძლებათ.

სავაჭრო ობიექტი რამდენიმე დღის წინ ქალაქის ცენტრში, "მომავლის პარკის" ტერიტორიაზე საკმაოდ მოკრძალებულად გაიხსნა.

გოგონებმა, ანა სანაძემ და ანა შენგელიამ მაღაზიის პრეზენტაციაზე უახლოეს ადამიანებთან ერთად "სამტრედიის მაცნეც" მიიწვიეს.

მანამდე კი ორი მეგობარი ფიქრობდა, მსჯელობდა, თანაქალაქელებისთვის რაღაც ორიგინალური შეეთავაზებინა. მოახერხეს კიდეც. შეარჩიეს ადგილი, დაარქვეს სახელი, დაბეჭდეს საკვიზიტო ბარათები.

ანა სანაძე: "რადგან ჩვენს ქალაქში ასეთი ტიპის მაღაზიებით განებივრებულები არ არიან, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი გახსნა. ჩვენ არც დიდი კაპიტალის მქონე ქალბატონები ვართ და არც დიდ საქმეს შევჭიდებივართ. უბრალოდ, შევეცადეთ, გემოვნებით შერჩეული სამკაულები შეგვეთავაზებინა მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება გაფართოებას, ესეც ჩვენი ერთობლივი სამომავლო გეგმაა. ვნახოთ, რა და როგორ იქნება!

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც უკვე გვეწვია, გაიზიარა ჩვენი განწყობა და წარმატება გვისურვა".

ანა შენგელია: " მე და ანი მეგობრები ვართ და ერთობლივი მიზანიც დავისახეთ. ამ მაღაზიის გახსნაში მხოლოდ შემოსავლის წყაროს არ ვხედავთ. გვინდა, სიამოვნება მივიღოთ ჩვენი საერთო საქმით. როგორც ქალს, ძალიან მომწონს სამკაული, სუნამო. მსურდა ამ პროფილის მაღაზია გვქონოდა. მე და ანიმ ძალიან მალე განვახორციელეთ ჩვენი იდეა. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ჩვენი სიხარული და წარმატება გაიზიარა".

მაღაზია-სალონს, რომელიც დეკანოზმა რომანოზმა (ნინუა) აკურთხა, გახსნის დღეს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა, პირველი მყიდველიც გამოჩნდა. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის სპეციალისტმა გიგა გელოვანმა თავის ქალიშვილს, შუშანიკა გელოვანს ლამაზი ყელსაბამი შეუძინა და გოგონებს წარმატებები უსურვა: "შუშანიკას, ჩემს ქალიშვილის ვუყიდე ყელსაბამი, რომელიც თვალში ძალიან ლამაზდ მომხვდა. შესანიშნავი მაღაზია გაიხსნა სამტრედიაში. ნამდვილად მივესალმები ამ ფაქტს. მე მგონი, ამ ფორმის მაღაზია არ იყო სამტრედიაში.

გოგონები შესანიშნავად გამოიყურებიან. დარწმუნებული ვარ, ეს ობიექტი ძალიან კარგად იმუშავებს და ვუსურვებ, უფრო გაფართოებულიყოს მათი საქმიანობა".

სტუმართა შორის იმ დღეს მრავლად იყვნენ ჟურნალისტები. მათ შორის გახლდათ სოფიო კირთაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი:

"პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა იმისთვის, რომ ასეთი ლამაზი ობიექტი შემოგვთავაზეს. ვფიქრობ, რომ გვეძლევა შესაძლებლობა, ძალიან ცივილურად მივიღოთ ის პროდუქტი, რასაც მანამდე ვყიდულობდით ბაზრობებზე, გადამყიდველებთან. დიდი მადლობა ამისთვის. მინდა ვთქვა, რომ ფასები მართლაც შესაბამისია. დავამატებ, რომ კიდევ უფრო დაბალი ფასებია, რასაც გადავხედე. დიდი წარმატება მინდა, ვუსურვო მათ. მე ვიქნები, ჩემს ოჯახთან ერთად, "კესანეს" მომხმარებელი.

შოთა პაპავამ, ახალგაზრდა კარიკატურისტმა "კესანეს" პრეზენტაციაზე მხატვრის თვალი გადაავლო იქ წარმოდგენილ საჩუქრებს. "წარმატებებს ვუსურვებ ორგანიზატორებს ამ საქმის წამოწყებისთვის. შესანიშნავი გარემოა. გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი პროდუქცია არის გულისხმასაყოფი, საინტერესო, ასევე, შემომთავაზებლები, აქ წარმოდგენილი ქალბატონები ბევრად უფრო მიმზიდველს ხდიან ამ გარემოს. იმედია, ეს ორი ფაქტი სინთეზურად გაამართლებს მათ იმედებს".

ია შენგელიამ, ანი შენგელიას ბიძაშვილმა მაღაზიის პრეზენტაციაზე მიპატიჟება სიამოვნებით მიიღო. ახალ სამკაულზე არჩევანი მარტივად გააკეთა: "შევიძინე ლამაზი ბეჭედი, შევურჩიე ლამაზი საყურე, ყველაფერს შეეხამება ისეთი ფერებია. ჩემი ბიძაშვილს ანის და მის მეგობარს წარმატება მინდა ვუსურვო. ვიცი, რომ ძალიან კარგი გოგონები არიან."

ნათია ნაცვლიშვილი, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" კორესპონდენტი: "ძალიან ლამაზი ინტერიერია. ესთეტური ტკბობა მიიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ არც ფასებია ისეთი, ასეთი ინფლაციის პერიოდში, შეგაშინოს. უკვე დავადგი თვალი რამდენიმე სუნამოს, სამკაულს, ხელფასის დღეს ვესტუმრები ამ მაღაზიას. მივესალმები ანის ამ წამოწყებას. გამართლებოდეს ეს ბიზნესწამოწყება და მეტი და მეტი კლიენტი ჰყოლოდეს".

ახალი ობიექტის პრეზენტაციას სრულიად შემთხვევით შეესწრო მამუკა ახობაძე, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, "სამტრედიის მაცნემ" საინტერესოდ ჩათვალა მასთან კომენტარის ჩაწერა: "მითხრეს, რომ ახალი მაღაზია გაიხსნა და მაშინვე გამოვეშურე. პირველი შთაბეჭდილება _ ამდენი ლამაზი ქალბატონი ვნახე ერთად. ყველა ობიექტი, რომელიც იწვევს ადამიანის დასაქმებას, ჩემთვის მისაღებია. ვფიქრობ, რომ ამ ქალაქში ყველაფერი, კარგისკენ შეიცვლება, ამ ქალაქშიც, ამ მაღაზიაშიც. წარმატებებს ვუსურვებ ამ ორ ულამაზეს ქალბატონს".

მაღაზია-სალონის პრეზენტაციაზე "კესანეს" ტორტი ფეირვერკების თანხლებით გაიჭრა. ახალი ობიექტის გულშემატკივრებმა ჭიქა შამპანურით დაულოცეს გოგონებს ახალი ობიექტის გახსნა, მაღაზიას გაფართოება და მრავალფეროვანი ასორტიმენტი უსურვეს. სილამაზის და სიმშვენიერის ფონზე სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
მაცნე სამტრედიის
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა